

24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი
***2424**

ნატო-ს საიუბილეო
სამიტის მოლოდინები
A3



რუსეთი შეიძლება
დაიგალოს
A7



ლონდონური სარობა
პროტესტის ფონზე
A8



24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ერთობლივი ძალისხმევა

საქართველოს საკითხი ოხამა-მედვედვის შეხვედრაზე

დინიტრი ავალიანი

აშშ-რუსეთის ურთიერთობათა "გადატვირთვა" შედეგად. ბარაკ ობამამ და დმიტრი მედვედევმა ბევრ თემაზე ურთიერთგაგებას მიაღწიეს. თუმცა, რუსეთისთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხში - აგვისტოს ომის შეფასებაში - ვაშინგტონი მოსკოვს კატეგორიულად არ ეთანხმება. ეს ორი ქვეყნის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი ერთობლივ დოკუმენტშიც დაფიქსირდა. აშშ-მ რუსეთს სამშვიდობო შეთანხმებების შესრულების პირობაც საჯაროდ დაადებინა.

აშშ და რუსეთი 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შეფასებაში ვერ თანხმდებიან. "იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ვერ ვთანხმდებით გასული წლის აგვისტოში საბრძოლო მოქმედებების მიზეზებისა და თანმიმდევრობის შეფასებაში, დარწმუნებულნი ვართ, რომ უნდა გავაგრძელოთ ძალისხმევა არასტაბილური სიტუაციის მშვიდობიანი და გრძელვადიანი დარეგულირების მიზნით," - ნათქვამია ორი ქვეყნის ლიდერების ერთობლივ განცხადებაში.

ბაზრძაძეაბა A3 გვერდზე



AFP - 2009

საზოგადოება იმდენ დემოკრატიას მიიღებს, რამდენსაც მოითხოვს

ინტერვიუ საქართველოს სტრატეგიისა და
საერთაშორისო კვლევების ფონდის პრეზიდენტთან ალექსანდრე რონდელთან

ბაია ჭალაბანიძე

- ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ჩვეულებრივი რამაა. ეს არის დემოკრატიზაციის პროცესი, რომელიც აუცილებლად იწვევს დაპირისპირებას, დაძაბულობას, ამას ვერ გავეცხვეთ. ეს პროცესი მთელ მსოფლიოში ასე მიმდინარეობდა. ზოგ ქვეყანაში და რეგიონში ეს უფრო ადრე მოხდა, ჩვენთან ახლა დაიწყო.

რა თქმა უნდა, ამას ჩვენი, ადგილობრივი ნიშნებიც აქვს - გაუთავებელი თეატრალური დადგმები, ტელევიზიით გაუთავებელი ლაყბობა, თოქშოუები - ეს ქართული ბუნებაა, თავის გამოჩენა ყველას უნდა. მაგრამ, ეს ჩვეულებრივი პროცესია. ერთი კი ნათელია - სამწუხაროდ, ეს არის კლასიკური ბრძოლა ძალაუფლებისთვის. ეს ოდნავ შენიღბული კლასიკური შემთხვევაა. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკაა, მაგრამ ამავე დროს, ეს ბევრისთვის მიუღებელია იმიტომ, რომ იდეალისტური მოლოდინების უკან ბევრი პირად ინტერესებს ხედავს.

- რამდენიმე წუთის წინ ირანულ ტელევიზიას მიეცით ინტერვიუ. რა კითხვები აქვთ უცხოელ ჟურნალისტებს?

- უცხოელი ჟურნალისტები საკბილოს მაძიებელ ქორებს გვანან. მახსოვს, ვარდების რევოლუციის წინ ბევრი ჟურნალისტი ჩამოვიდა. ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტმა მითხრა, რა კარგია, თქვენ რომ ხართ, პრობლემებს ქმნით და ჩვენც საქმე გვიჩნდებაო. საქართველო რომ არ იყოს, მოვიწყენით... მათ

ძალადობა უყვართ, ამით საზრდოობს ტელევიზია.

- უკვე 20 წელია, პოლიტიკური ცვლილებები მუდმივად დაძაბულად მიმდინარეობს. დრო არ არის, ავანტიურაში პოლიტიკური კლასი?

- რა თქმა უნდა, ეს დაბალი პოლიტიკური კლასის მარცხენა ნაწილია. საპრეზიდენტო რესპუბლიკა, პრინციპში, არ უნდა მომწონდეს და არც მომწონს. ნორმალურ ქვეყნებში პრეზიდენტები არ არიან ძლიერები. ზოგ ქვეყანაში, არიან, მაგრამ ჩემი აზრით, საპარლამენტო რესპუბლიკა უფრო ცივილიზებული ფორმაა. მაგრამ, ეს იმ ქვეყანაშია კარგი, სადაც ძლიერი, ტრადიციული პარტიები არსებობს, სადაც პოლიტიკური კულტურის და ურთიერთობების ტრადიციებია. ასეთ ქვეყანაში ძლიერი პრეზიდენტი საჭირო არც არის, თუმცა, მაგალითად, საფრანგეთში პრეზიდენტი მაინც ძლიერია, შეერთებულ შტატებში კონგრესი ყველაფერია, მაგრამ პრეზიდენტი, ადმინისტრაცია ძალიან ბევრს ნიშნავს. მოკლედ, გულთხა საპარლამენტო რესპუბლიკის ვიხრები, მაგრამ ჩვენი პარტიები ძალიან ემბრიონულ მდგომარეობაში არიან, ნორმალურ პროგრამას ვერ წერენ, პროგრამით ხალხს მიზიდვა არ შეუძლიათ. რა თქმა უნდა, ასეთ პარტიებზე აგებული საპარლამენტო რესპუბლიკა უტოპიად მეჩვენება. რაც შეიძლება მალე უნდა მოვიდეს მაღალი პოლიტიკური კულტურის დრო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა უფრო ადვილი იქნება.

ბაზრძაძეაბა A4 გვერდზე



შეცდომები ხელისუფლებას

ოპოზიციას 9 აპრილის აქციის ჩატარების შესახებ თბილისის მერიისთვის გაფრთხილების დოკუმენტი ჯერ არ გაუგზავნილა. როგორც "კონსერვატიული პარტიის" წევრი ზვიად ძიძიგური აცხადებს, ჯერ არ არის გადაწყვეტილი, გაუგზავნის თუ არა გაფრთხილებას ოპოზიციის დელეგაციის თვითმმართველობას.

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი კი აცხადებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ანებს ტრანსპარენტის მთავარი მოძრაობის გადაკეტვის უფლებას, თუკი არსებობს წინასწარი გაფრთხილება 5 დღით ადრე. "მხოლოდ გაფრთხილება, ამას სხვა არავითარი ნებართვა არ სჭირდება, თუმცა კანონმდებლობით დაზუსტებულია, რომ თუ შეკრებამ კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო, ხელისუფლებას აქვს უფლება, გახსნას გზა. თუ რა იქნება მიზნული ეკონოსაწინააღმდეგო ქმედებაში, აქ უნდა მოვიშველიოთ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები, რადგან საქართველო ევროკონვენციის წევრია და ევროსასამართლოს სამართალი საქართველოზეც ვრცელდება," - აცხადებს სუბარი. სახალხო დამცველი თურქეთის პრეცედენტზე საუბრობს. "ევროსასამართლომ რამდენიმე საქმეში, მათ შორის თურქეთთან დაკავშირებულ საქმეში, როდესაც ცენტრალური ქუჩის გადაკეტვის დროს პოლიციამ გამოიყენა ძალა და გახსნა ქუჩა, მიიჩნია, რომ პოლიციის მიერ ძალის გამოყენება და ქუჩის ძალით გახსნა არ იყო მიზანშეწონილი და პოლიციამ დაარღვია შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მანიფესტაციების მხრიდან არ არსებობდა წინასწარი გაფრთხილება. ასე რომ, თუ ამ პრეცედენტით ვისარგებლებთ, ცხადია, ევროსასამართლო გაცილებით ფართოდ განმარტავს შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლების უფლებას, ვიდრე ჩვენი კანონმდებლობა," - აცხადებს სოზარ სუბარი.

მისი თქმით, სახალხო დამცველის აპარატი სრულად მობილიზებულია, რომ განახორციელოს მონიტორინგი 9 აპრილს დაგეგმილ აქციაზე. **მედიანუსი**

რეფერენდუმის ჩატარების შესახებ საპარლამენტო უმცირესობაში კონსულტაციები იგეგმება

საპარლამენტო უმცირესობაში რეფერენდუმის ჩატარების შესახებ კონსულტაციები იგეგმება, ეს განცხადება უმცირესობის წარმომადგენელმა ლევან ვეფხვაძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. რეგარემუ საპრეზიდენტო არჩევნებზე რეფერენდუმის ჩატარების წინადადებით გია ცაგარეიშვილი გამოვიდა. ვეფხვაძის თქმით, მხოლოდ ერთი საკითხისთვის რეფერენდუმის ჩატარება არ იქნება მიზანშეწონილი. "ქრისტიან-დემოკრატები" მიიჩნევენ, რომ რეფერენდუმზე სხვა კითხვებზე უნდა გავიყენებოთ პასუხის მოსახლეობის მხრიდან - კერძოდ, საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლას, რაც საკონსტიტუციო მონარქიაზე გარდამავალი პერიოდი იქნება და მართლმადიდებლური რელიგიის, როგორც ტრადიციული აღმსარებლობის, გამოცხადებას ოფიციალურად ქვეყნის რელიგიად. თუ საპარლამენტო უმცირესობაში კონსულტაციების შედეგად შეთანხმდებიან, რომ რეგარემუ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად რეფერენდუმზე ზემოთ აღნიშნულ საკითხებსაც შეეხება, ასეთ შემთხვევაში საეჭვო რჩება მხოლოდ ის 6 ხელმოწერა, რომელიც საჭირო იქნება საკითხის ინიცირებისთვის.

ამასთან, ლევან ვეფხვაძე ეჭვობს, რომ უმცირესობის 24 წევრს უმრავლესობის 6 წევრის თანხმობაც შეემატება. თუმცა, დასძენს, რომ "ეს წინადადება პოლიტიკური აქტია და ამიტომ არის მნიშვნელოვანი." **ჯი-ჯი-ენი**

"ვაფრთხილებ რუსეთს, არ აპყვეს პროვოკაციას"

პარტია "საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის მიერ დაგეგმილი საპროტესტო აქციების პერიოდში, რომელიც 9 აპრილს დაიწყება, რუსეთისგან პროვოკაციის საფრთხეს ვერ ხედავს. ზურაბიშვილი აცხადებს, რომ "პროვოკაცია თუ იქნება, იქნება საქართველოს ხელისუფლებისა და რუსეთის აფრთხილებს, არ აპყვეს არანაირ პროვოკაციას. "ვაფრთხილებ რუსეთს, რომ არ აპყვეს რამე პროვოკაციას, რადგან პროვოკაცია თუ იქნება, ეს იქნება მიხეილ სააკაშვილის მხრიდან. რუსეთის მიერ ნებისმიერი ფორმით იარაღის ჩხარუნი ამ პერიოდში იქნება დასტური იმისა, რომ რუსეთი მხარს უჭერს სააკაშვილს. დღეს რუსეთს ყველაზე მეტად აძლევს ხელს ასეთი დისკრედიტებული, ნდობადეკარგული ხელისუფლება, რომელიც საქართველოს ჰყავს," - განაცხადა ზურაბიშვილმა და დასძინა, რომ ყველა იცის, და ეს ბუნებრივია ყველა ქვეყანაში, რომ თუ რამე პროვოკაცია დაიწყება, ეს ყოველთვის ამაგრებს იმ მომენტისთვის არსებულ ხელისუფლებას. როგორც სააგენტოსთან საუბარში სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, მას არ სჯერა, რომ რუსეთისგან ახლა რაიმე საფრთხე მოდიოდეს, რადგან იგი მიიჩნევს, რომ რუსეთმა საქართველოში მიიღო ყველაფერი, რისი მიღებაც შეეძლო. "დღეს დაწყებულია სხვა პროცესები რუსეთ-ამერიკასა და რუსეთ-ევროკავშირს შორის. რუსეთს აქ მიღებული აქვს ყველაფერი, რისი მიღებაც შეეძლო, იქ კი ბევრი აქვს მისაღები და დაწყებულია ახალი მოლაპარაკებები. ამიტომ მე არ მჯერა რუსეთის საფრთხის. რუსეთმაც უნდა გაიგოს, რომ ეს ხელისუფლება გათავადება. რუსეთმა ისიც კარგად იცის, რომ ვინც არ უნდა მოვიდეს საქართველოს ხელისუფლებაში, თავის პროგრამაში ექნება ის, რომ რუსეთთან რაღაცნაირად უნდა გადავიდეს ნორმალური ურთიერთობაში. უნდა დავინდოთ მეზობელთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა. ეს არ ნიშნავს ყველაფრის დათმობას, მაგრამ ჩვენ ამ ჩიხიდან უნდა გამოვიდეთ," - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. **ჯი-ჯი-ენი**

გიორგი ასანიშვილი

რაც უფრო ახლოვდება 9 აპრილი, მით უფრო მცირდება შანსი იმისა, რომ ხელისუფლება და ოპოზიციის რაიმე არსებით შეთანხმებას მიაღწევენ და ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება განიმუხტება. მმართველი გუნდი და მისი პოლიტიკური ოპონენტები "სხვადასხვა ენაზე" საუბრობენ: საპარლამენტო უმრავლესობა ოპოზიციის რადიკალურ ფრთას სხვადასხვა თემების ირგვლივ დაილოცს სთავაზობს, არასაპარლამენტო ოპოზიციის კი მოლაპარაკებების გამართვას მხოლოდ ერთ საკითხზე - პრეზიდენტის გადადგომაზე თანხმდება. დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუამავლის როლის შესრულებას (ჯილობს დიმიტრი შაშკინი, რომელსაც, თავის უშუალო სამსახურებრივ ფუნქციასთან ერთად, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მოლაპარაკებების მაგიდასთან დასმის მისიაც აკისრია.

გუშინ სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს ესაუბრა. დასურულ შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ახალი ინიციატივის - დემოკრატიის მეორე ტალღის ფარგლებში მთავარი საბჭოს შექმნის იდეის - პრეზენტაცია გაიმართა.

მინისტრთან გამართული კონსულტაციების შემდეგ უცხოელი დიპლომატები "ერთ ხმაში" საუბრობდნენ. დიპლომატიკური უცხოელები, - ხაზგასმით აღნიშნავენდენ ისინი.

"მხარეებს პოლიტიკური დიპლომატიკის მოვუნოდებ. ეს არის ერთადერთი გზა, რომლითაც თქვენნი ქვეყანა პოლიტიკური კრიზისიდან უნდა გამოვიდეს. მინისტრმა შაშკინმა სიტუაციის განსამუხტად დღეს საინტერესო იდეა შემოგვთავაზა," - აცხადებს შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სა-

დიპლომატიის "ძიება"



დიმიტრი შაშკინი

ქართველოში ჯონ ტეფტი. "არსებულ სიტუაციაში დიპლომატიკური ერთადერთი გამოსავალია. იმედის მომცემია, რომ დიპლომატიკური უარი ყველა პოლიტიკურ პარტიას არ უთქვამს. ვინც მოლაპარაკებებზე უარს ამბობს, კარგად უნდა ესმოდეს, რომ საქართველოს კიდევ ერთი ქაოსი არ სჭირდება. ყველაფერი მშვიდობიანად რომ დასრულდეს, დიპლომატიკური უნდა შედეგს," - მიიჩნევს საქართველოში ევროკომისიის მისიის ხელმძღვანელი, ელჩი პერ გორან ეკლუნდი.

"არის მცდელობა, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებული დინამიკა შეიცვალოს. დიპლომატიკური კორპუსი სიტუაციაზე მონიტორინგს განახორციელებს," - მოვლენების განვითარებაზე "ზედამხედველობას" აპირებს საფრანგეთის ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე...

დიმიტრი შაშკინი გუშინ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსაც უნდა შეხვედროდა, მაგრამ მოლაპარაკებები დღეისთვის გადაიდო.

"საქართველოს მთავრობა ასრულებს საზოგადოების დაკვეთას და ყველა პოლიტიკურ პარტიასთან დიპლომატიკური მზად არის. ელჩებს ჩვენი გეგმები და კონკრეტული წინადადებები გავაცანით, რომელსაც ხვალ პოლიტიკური პარტიების

წარმომადგენლებთანაც განვიხილავთ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია შეხვედრაზე არ მოვა, მთავრობა დიპლომატიკური მუშაობას მაინც გააგრძელებს," - ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი.

ფაქტობრივად გამოიცხადდა, რომ რადიკალური ოპოზიციის დღევანდელ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს. მისი ლიდერები ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ დიპლომატიკურ "არაადეკვატურად" მიიჩნევენ და საგანგებო განცხადებას ავრცელებენ, რომელსაც ხელს აწერენ ირაკლი ალასანი, დავით უსუფაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ლევან გაჩეჩილაძე, სალომე ზურაბიშვილი, ეკა ბესელია, ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილი.

"საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შემთავაზებული წინადადებები არაადეკვატურია, მით უფრო, რომ ქვეყანა უმძიმეს პოლიტიკურ კრიზისში იმყოფება და საზოგადოების მხრიდან ხელისუფლებისადმი უნდობლობა პიკს მიაღწია. ეს არის დიპლომატიისთვის მზაობის იმიტაციით საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანისა და რეალური პრობლემებიდან ყურადღების გადატანის მორიგი

მცდელობა," - ნათქვამია განცხადებაში.

ერთობლივ დოკუმენტში ასევე საუბარია სახალხო პლემბისციტის შედეგებზე, რომელმაც, ოპოზიციის ლიდერთა თქმით, კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს მოქალაქეების მტკიცე ნება ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაზე.

"შექმნილ ვითარებაში დიპლომატიკური ერთადერთი საკითხად კვლავინდებურად ხელისუფლების მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზით შეცვლა გვესახება და ამ საკითხზე საჯაროდ საუბრისთვის მზად ვართ მხოლოდ პირადად მიხეილ სააკაშვილთან," - ნათქვამია არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერების ერთობლივ განცხადებაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დოკუმენტზე არ არის მოძრაობის "სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერ ზურაბ ნოლაიდელის ხელმოწერა. როგორც ექს-პრემიერის პრესსამსახური აცხადებს, გაურკვეველი მიზეზით, განცხადებას ნოლაიდელის პარტიამდე "არ მიუღწევია", მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს საქმე, მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის" დიმიტრი შაშკინთან მოლაპარაკებების გამართვას არ აპირებს.

ოპოზიციური პარტიების ნაწილის მიერ გაფრთხილებულ განცხადებაში გამოთქმულ მოსაზრებებს "ალიანსი თავისუფლებისთვის" ლიდერი იაკოპ ასათიანი და გუგუელი მალრაძეც იზიარებენ.

გაცილებით რბილი პოზიცია აქვს საპარლამენტო უმცირესობას, რომლის წარმომადგენლებიც მზად არიან, დიმიტრი შაშკინის "ეკიდით" გამართულ დიპლომატიკურ მონაწილეობაში, თუმცა არა სრული შემადგენლობით - ჯონდი ბალათურია და გია ცაგარეიშვილი მმართველი გუნდის შეთავაზებას დიპლომატიკური დახმარების შესახებ "ხელისუფლების ულტიმატუმად" და "ოპოზიციის შანტაჟად" აფასებენ და შაშკინთან შეხვედრაზე უარს ამბობენ. ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ "მიზანშეწონილია, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დიპლომატიკური მოედანზე წარმართოს და არა მინისტრ შაშკინის სამუშაო კაბინეტში."

პლემბისციტის შეფასება

"ალიანსი საქართველოსთვის" მიერ ჩატარებული პლემბისციტის შუალედური შედეგების გამოქვეყნების შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ ეს გამოკითხვა არასერიოზულია. თავად პლემბისციტის ინიციატორები დარწმუნებულნი არიან, რომ პროცესს ბოლომდე მიიყვანენ და ხელისუფლებასაც და საერთაშორისო საზოგადოებასაც დაუმტკიცებენ, რომ მათი მოთხოვნა რეფერენდუმის ჩატარების შესახებ საფუძველს მოკლებული არ იყო. "იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არ გაითვალისწინებს პლემბისციტის საბოლოო შედეგებს, მაშინ პროტესტის ფორმას მივმართავთ," - განუცხადა "24 საათს" ალიანსის წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ.

პერიკო ტაძე

"31 მარტს გამოქვეყნდა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ პლემბისციტის შუალედური შედეგები. პროცესი უნდა გაგრძელდეს. თავიდანვე, როცა ხელისუფლებას შევთავაზეთ რეფერენდუმის ჩატარება, განვმარტეთ, რომ უარის შემთხვევაში მას (ხელისუფლებას), ასევე საერთაშორისო სა-

ბა. პლემბისციტის და რეფერენდუმის ინიციატორები დარწმუნებულნი არიან, რომ საბოლოო შედეგები ხელისუფლებისათვის არასასურველი იქნება.

რა იქნება შემდგომი ნაბიჯი ანუ რას მოიმოქმედებს ალიანსი პლემბისციტის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ? კაციტაძის პასუხი ასეთია: "ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართავთ ხელისუფლებას, რომ გაითვალისწინოს საზოგადოების ნება და დანიშნოს საპრეზიდენტო არჩევნები. იგნორირების შემთხვევაში, დავინყებთ საპროტესტო გამოსვლებს საზოგადოების იმ ნაწილთან ერთად, რომელიც რეგარემუ საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნას ემხრობა. შეიძლება გაფიცვის ფორმაც ავირჩიოთ. ვნახოთ, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ხელისუფლების სემინალობაზე."

პლემბისციტის შუალედური

შედეგების გამოქვეყნებას საპარლამენტო უმრავლესობის რეაქცია მოჰყვა. სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლები პლემბისციტს არასერიოზულს უწოდებენ. რაც მთავარია, მათი შეფასებით, ალიანსმა ჩაატარა არა პლემბისციტი, არამედ სოციოლოგიური კვლევა, რომლის შედეგებსაც ვერც ხელისუფლება ენდობა და ვერც რომელიმე საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია.

"ალიანსის მიერ გამოქვეყნებულ ე.წ. შუალედურ შედეგებში აბსოლუტურად არარეალური ციფრებია მოყვანილი," - განაცხადა გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა. ცისკარიშვილის აზრით, პლემბისციტს უნდა ატარებდნენ "არა პარტიის აქტივისტები, არამედ დამოუკიდებელი ორგანიზაციის სოციოლოგიური კვლევის სპეციალისტები."

ერთობლივი ძალისხმევა

პირველი გვერდიდან

ამავე დოკუმენტის მიხედვით, რუსეთი და აშშ შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია სარკოზი-მედევევის გეგმის შესრულება და შენევის დისკუსიების გაგრძელება.

"ჩვენ ხაზს ვუსვამთ გასულ წელს მიღებული ექსპედიციონი გეგმის, 8 სექტემბრის შეთანხმებისა და სხვა შესაბამისი შეთანხმებების მნიშვნელობას და მხარს ვუჭერთ შენევის დისკუსიების ფარგლებში თანამშრომლობის გაგრძელებას რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით," - ნათქვამია განცხადებაში.

"დიდი ოცუელის" ლონდონის სამიტის ფარგლებში ორი ქვეყნის პრეზიდენტების პირველი შეხვედრა ბრიტანეთში აშშ-ს ელჩის რეზიდენციაში შედგა.

შეხვედრამ, რომელიც პროტოკოლით 50 წუთს უნდა გაგრძელებულიყო, საათსა და 25 წუთს გასტანა. შეხვედრის შემდეგ გაგრძელებული ერთობლივი განცხადების თანახმად, გამომდინარეობს და მოსკოვს შორის უთანხმოებები მხოლოდ საქართველოს საკითხით არ ამოიწურება. განსხვავებული აზრი მხარეებმა ევროპაში ამერიკული რაკეტსაინჟინერული თავდაცვის სისტემების განლაგების საკითხშიც დააფიქსირეს.

თუმცა, ობამა და მედევევი მთელი რიგ საკითხებზე შეთანხმდნენ. კერძოდ, წლის ბოლომდე სტრატეგიული შეთანხმების შესახებ ახალი ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რომელიც მანამდე

არსებულ გეგმებთან შედარებით, ბირთვული იარაღის ბევრად უფრო მეტად შემცირებას ითვალისწინებს. აშშ ასევე მხარს უჭერს რუსეთის განვითარებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში.

ობამა და მედევევი ასევე შეეხნენ ევროპაში უსაფრთხოების საკითხებს. ამერიკული მხარე თანახმაა, რომ ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შესახებ მედევევის წინადადებების გათვალისწინებით იმსჯელოს.

ორივე პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა ნატო-რუსეთის საბჭოს მუშაობის განახლება, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის გამო შეწყდა. იმავდროულად, ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ "ერთობლივი დიალოგისთვის ერთ-ერთ საკვანძო მოედანს წარმოადგენს, ისევე როგორც ნატო-რუსეთის საბჭო."

ობამა და მედევევი საერთო ხედვა მსოფლიო უსაფრთხოების სხვა პრობლემების მიმართაც დააფიქსირეს. კერძოდ, მოსკოვიც და ვაშინგტონიც აღიარებენ ირანის უფლებას სამოქალაქო ბირთვული ენერჯეტიკის განვითარებაზე, თუმცა თეირანს გაერო-ს რეზოლუციების შესრულებისკენ და ატომური ენერჯიკის საერთაშორისო სააგენტოსთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ.

ორივე ლიდერი ასევე ემხრობა მოლაპარაკებათა გაგრძელებას ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემის შესახებ.

როგორც ჩანს, სწორედ ბევრ საკითხში არსებულმა აზრთა

თანხვედრამ განაპირობა ბარაკ ობამასა და დემიტრი მედევევის კეთილგანწყობილი ტონი შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე.

ობამამ განაცხადა, რომ ზაფხულში მოსკოვში ჩასვლას გეგმავს. **"შე ძალიან მოხარული ვიქნები, პრეზიდენტი მოსკოვში ვიხილო,"** - განაცხადა, თავის მხრივ, დემიტრი მედევევიც.

მისი თქმით, **"დღევანდელმა შეხვედრამ აჩვენა, რომ ჩვენ გაცილებით მეტი გვეერთიანებს, ვიდრე გვეყოფს. შეხვედრის შემდეგ ჩვენი ურთიერთობის მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ."** მედევევიც აღნიშნა, რომ მოსკოვი და ვაშინგტონი **"ურთიერთობების გაძლიერებას"** შეეცდებიან.

"ფიქრობ, ჩვენ ახალი შესაძლებლობები გვხვს აშშ-რუსეთის ურთიერთობების დადებითი განვითარებისთვის. ფიქრობ, პრეზიდენტ მედევევთან ერთად ამ გზაზე პროგრესის მიღწევა შესაძლებელია," - განაცხადა, თავის მხრივ, ბარაკ ობამამ.

ბარაკ ობამას მიერ აგვისტოს ომის შესახებ დაფიქსირებულ პოზიციას ოფიციალური თბილისი მიესალმება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ობამა-მედევევის ერთობლივმა განცხადებამ აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

"რაც უფრო მეტად გაუმეორებენ რუსეთს, რომ საქართველოში ომი მან დაიწყო, რომ ის

ტერიტორიების მითვისებას ცდილობს და საერთაშორისო შეთანხმებებს არ ასრულებს, მით უკეთესი," - აღნიშნა ვაშინგტონში.

მისი თქმით, საქართველო-სადმი აშშ-ს დამოკიდებულება დაფუძნებულია ფასულობებზე, რომლებსაც ამ ქვეყნის ადმინისტრაცია არ ცვლის.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თემურ იაკობაშვილის თქმით, გუშინდელმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ შეერთებული შტატები არანაირად არ დათანხმდებიან კავკასიაში რუსეთის ექსკლუზიურ როლს, მათ შორის მშვიდობის დამყარების საკითხებზე. **"რუსეთი ოფიციალურად ეთანხმება ამერიკის წინადადებას - არა კონფლიქტის გრძელვადიან დარეგულირებაზე, არამედ რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარების საკითხზე,"** - განმარტა იაკობაშვილი. მინისტრი თქმით, რუსეთის ეს განცხადება თავისთავად მიანიშნებს, რომ მან ვერ შეძლო საქართველოში დღეს არსებული ვითარების ლეგიტიმაცია.

აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების მომხრეა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც. მან დასძინა, რომ საქართველომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაციისგან მიიღო მყარი გარანტიები, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დათბობა საქართველოს ხარჯზე არ მოხდება.

"ყენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეები პროქართულ პოზიციაზე არიან"

ყენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეები - პიერ მორელი (ევროკავშირი), ხარლამოს ხრისტოპულოსი (ეუთო) და იოჰან ვერბეკე (გაერო) პროქართულ პოზიციაზე დგანან, აცხადებს ელფარდ კოკოითის ე.წ. წარმომადგენელი პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ბორის ჩოჩიევი. "თანათავმჯდომარეები ტენდენციურები, არაობიექტურები და, მე ვიტყვი, რომ მთლიანობაში პროქართული არიან. ისინი აკეთებენ ყველაფერს იმისთვის, რომ საქართველოდან მომავალი ნეგატივი დაფარონ. ამასთან, ისინი საერთოდ არ აფიქსირებენ საკუთარ აზრს," - აცხადებს ბორის ჩოჩიევი. მისი თქმით, ყენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეების გარდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე ზონებში მდგარი ევროკავშირის დაშვებული მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებიან - ისინი საერთაშორისო საზოგადოებრივ ფარგლებში უმსგავსებებს, რაც იქ ხდება. "ისინი ვერ ხედავენ" იქ ქართული მხარის მიერ უკანონოდ გახსნილ 35 საგუშაგოს და იმ პროვოკაციებს, რომლებიც იქ ყოველდღე ხდება," - აცხადებს ბორის ჩოჩიევი. ყენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეები პიერ მორელი (ევროკავშირი), ხარლამოს ხრისტოპულოსი (ეუთო) და იოჰან ვერბეკე (გაერო) ცხინვალში ჩავიდნენ და ბორის ჩოჩიევთან შეხვედრა გამართეს. **ჯი-იჩი-ენი**

დავით ბაქრაძემ დანიამი რიგი შეხვედრები გამართა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ დანიის სამეფოში ვიზიტს განაგრძობს. ვიზიტის ფარგლებში ბაქრაძემ შეხვედრები პარლამენტში გამართა. კერძოდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს სპიკერი დანიის პარლამენტის თავმჯდომარემ ტორ პედერსენმა მიიღო. შეხვედრას ასევე დანიის პარლამენტის პრეზიდენტი 4 ვიცე-სპიკერი ესწრებოდა, რომლებიც "ლიბერალურ", "სოციალ-დემოკრატიულ", "სახალხო" და "კონსერვატიულ" პარტიებს წარმოადგენენ. მხარეებმა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე, ეკონომიკური კრიზისის დროს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ სოციალურ-ეკონომიკურ პროექტებსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს.

"დანიის პარლამენტი მხარს უჭერს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს და ჩვენი ქვეყნის საპარლამენტო თანამშრომლობის გაღრმავებას. ასევე ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს," - განაცხადა დანიის საკანონმდებლო ორგანოს სპიკერმა ტორ პედერსენმა ქართველ კოლეგა დავით ბაქრაძესთან შეხვედრის შემდეგ. "რუსეთი კვლავ აგრძელებს ყველა საერთაშორისო შეთანხმების დარღვევას და აშენებს სამხედრო ბაზებს საქართველოს საერთაშორისო ტერიტორიებზე, სადაც აბსოლუტურად უკონტროლო სიტუაციაა. გასული თვეების განმავლობაში 11 ქართველი პოლიციელი დაიღუპა და მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის შევიწროება," - აღნიშნა ბაქრაძემ დანიის თავდაცვის კომიტეტის სხდომაზე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში დანიის სამეფოს დედოფალ-მაც მიიღო. შეხვედრა დედოფლის ზამთრის რეზიდენციაში გაიმართა. ამასთან, საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ დანიის მეფის ქრისტიან IX-ს სასახლე მოინახულა. ქრისტიან IX ისტორიაში ევროპის დიდი მამის სახელით შევიდა. ქართული დელეგაციის შემადგენლობაში არიან დეპუტატები: ვიკტორია მარია, მადგა ანიკაშვილი, აკაკი მინაშვილი და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი ნერეთელი. **ჯი-იჩი-ენი**

გიორგი თარგამაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა

ვიზიტის ფარგლებში თარგამაძე შეხვედრებს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, სახელმწიფო დეპარტამენტსა და ეროვნული უშიშროების საბჭოში გამართავს. როგორც საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა ამერიკაში გამგზავრებამდე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განაცხადა, ის "ამერიკულ მხარეს საქართველოს ყველა მნიშვნელოვან პრობლემას გააცნობს." თარგამაძესთან ერთად ამერიკაში ვიზიტით მისი ფრაქციის წარმომადგენელი ნიკოლოზ ლალაშვილიც იმყოფება. ვიზიტი ერთ კვირას გაგრძელდება. **ჯი-იჩი-ენი**

ხელისუფლებასთან დიალოგის მაგიდას "ქრისტიან-დემოკრატები" მიუსხდებიან

საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები" დიალოგის მაგიდასთან დაბრუნების თაობაზე მმართველი გუნდის წინადადებას იღებს. როგორც დეპუტატი ლევან ვეფხვაძე აცხადებს, დიალოგზე დათანხმება აუცილებელია, რათა გაიფრთხილოს ხელისუფლება "რაზა მანსველი". "თუ ხელისუფლება ვეთანხმება დიალოგს მხოლოდ დიალოგისთვის, ეს გამორჩეულია. იქამდე კი, მათ შემოთავაზებულ წინადადებაზე დათანხმება აუცილებელია, რადგან დიალოგზე ახლავ ნიხის კვრა და იმის თქმა, რომ ეს მხოლოდ პიარია, მათ პოზიციებს უფრო გაამყარებს," - განაცხადა ვეფხვაძემ. მმართველი გუნდი მზადაა, ოპოზიციასთან დიალოგი სამი მიმართულებით აწარმოოს. ესენია: მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაძლევა და სამუშაო ადგილების შექმნა, ქვეყნის უსაფრთხოების და ეროვნული ინტერესების დაცვა, ასევე დემოკრატიული რეფორმების ერთობლივად გატარება. ხელისუფლებამ ოპოზიციასთან დიალოგისთვის შემუშავებული წინადადებები გუშინ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენლებს გააცნო. ელჩები სასჯელ-დასჯის უფლებების, პრობაციისა და ორბიტიული სამსახურის მინისტრმა დემიტრი შაშკინმა მიიღო. **ჯი-იჩი-ენი**

ნატო-ს საიუბილეო სამიტის მოლოდინში

დათო ბაიოსონია

3-4 აპრილს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საიუბილეო სამიტი გაიმართება. ნატო-ს შექმნიდან 60 წლის თავზე დაგეგმილ უმაღლესი დონის შეხვედრებს სხვა სიმბოლური დატვირთვებიც აქვს. გარდა იმისა, რომ ალიანსის სამიტი პერიოდული შესაძლებლობაა სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთათვის, რათა შეაფასონ და განსაზღვრონ ალიანსის საქმიანობის მიმართულებები, წლებიდან სამიტზე აღინიშნება საფრანგეთის დაბრუნება ნატო-ს გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურაში, ხოლო ალიანსის ახალ წევრებად მიიღებენ ალბანეთსა და ხორვატიას. ამასთანავე, აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა პირველად დაესწრება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმაღლესი პოლიტიკური დონის შეხვედრებს.

ხვალ სტრასბურგში ნატო-ს საიუბილეო სამიტი გაიხსნება. აპრილის უმაღლესი დონის შეხვედრები გაიმართება გერმანიისა და საფრანგეთის საზღვრისპირა ქალაქებში - სტრასბურგში, კიოლნსა და ბადენ-ბადენში. გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან და საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან ერთად, ნატო-ს გაერთიანებული მდივნის რანგში ალიანსის სამიტის უკანასკნელად გახსნის იაპ დეპუტატი სხეფერი, რადგან მისი უფ-



სტრასბურგში ნატოს სამიტს ანტიგლობალიზტები პროტესტით ხვდებიან

ლებამოსილების ვადა 31 ივლისს იწურება.

ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ორგანიზაციის გაფართოების საკითხს, თუმცა ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოებისკენ სწრაფვის საფასურს თავისთავად რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის გაუარესება წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დიდი წილი რუსეთს ეკისრება და ამის მაგალითია თუნდაც საგარეო-პოლიტიკური ავანტიურები მეზობელ ქვეყნებთან, რუსეთის მმართველი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებმა თავიანთ აღფრთხილებას ასეთი ახსნა მოუძებნეს - ნატო-ს გაფართოება საფრთხეს უქმნის რუსეთის უსაფრთხოებას და პრესტიჟს. შექმნილი ჩიხიდან გამოსვლის გზა ნათლად წარმოადგინა ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ. აშშ-ს, ნატო-ს სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად, განზრახული

აქვს, რომ რუსეთიც ჩართოს საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ამ ეტაპზე დაგეგმილია დიალოგის გამართვა ნატო-რუსეთის კომისიის მეშვეობით. ეს მოლაპარაკებები, ექსპერტების აზრით, უნდა წარიმართოს სამხედრო თანამშრომლობის საკითხებზე - კერძოდ, ანტისარაკეტო თავდაცვის საკითხი, ირანის მიმართულებით ერთობლივი დიპლომატიური ძალისხმევა და რუსეთის ფედერაციის გავლით ავღანეთში განთავსებული სამხედრო ძალების მომარაგება.

ევროატლანტიკურ საქეს-პერტო წრეებში არის მოსაზრება, რომ საფრანგეთი-გერმანიის სამიტზე აუცილებლად განიხილავენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის იდეების მთავარი დამო-სვენების კანდიდატურებს. ნატო-ს გენერალური მდივნობის კანდიდატა შორის ყველაზე დიდი შანსი აქვს დანიის პრემიერ-მინისტრ ანდრეს ფოგა რასმუსენს.

საზოგადოება იმდენ დემოკრატიას მიიღებს, რამდენსაც მოითხოვს

პირველი გვერდიდან



ქოთა მემკიდრეობა სწრაფად დაძლიოს და ამიტომ ხანდახან დემოკრატიულ პროცესებსაც უგულვებელყოფს. ცხადია, ეს სწორი არ არის, რადგან თუ შენ მალაღი დემოკრატიული ფასეულობები გაქვს, ასევე უნდა მოიქვე დემოკრატიის მისაღწევად. მაგრამ, ჩვენ სულსწრაფები ვართ და თან, თავზე გვეკიდია დამოკლები მახვილი რუსეთის სახით. გარდა ამისა, პოლიტიკური ამპარტავნობის ელემენტაც არის - ჩვენ შეგვიძლია და სხვა არა. ეს, რა თქმა უნდა, გალიზინებას იწვევს.

საბჭოთა კავშირი მოგონილი სამყარო იყო და იმიტომ დამისხვრა, რომ ხელოვნურად შექმნილი კონსტრუქცია იყო. რა დაუტოვა ხალხს ამ სისტემამ? - ქონება, პოლიტიკური კულტურა, მალაღი ღირებულებები? დაუტოვა უინიციატივობა, სისუსტე, შიში, თავისუფლების გამოყენების უუნარობა. კლასიკური საბჭოთა პროდუქტი ვარ - მეჯავრებოდა, მაგრამ იმ სისტემაში დავიბადე და გავიზარდე. რამდენი ხანი გავიდა და ხანდახან დღესაც ვამჩნევ, რომ თავისუფლების მეშინია, ეს დიდი პასუხისმგებლობაა.

- ჩვენს საზოგადოებაში რა ჭარბობს, საბჭოთა მენტალობა, პოსტსაბჭოთა, რომელიც საბჭოეთიდან თავის დაღწევას ცდილობს, თუ დასავლური ტიპისა?

- მაგალითის გეოლოგიური მითითებით არსებობენ ქანები, რომლებიც გეოლოგიური ისტორიის მანძილზე მალაღი ტემპერატურის წნეხის ქვეშ ხვდებიან. ისინი ამ წნეხის შედეგად გარკვეულ პროცესში გადაიან და სრულიად სხვა ქანებად იქცევიან, თავდაპირველთან საერთო აღარაფერი აქვთ. საბჭოთა სისტემამ სწორედ ეს გააკეთა და ნორმალურ მდგომარეობაში ძალიან სწრაფად დაბრუნება რთულია. ბუნებრივი მდგომარეობა კერძო საკუთრება, კანონის უზენაესობა, ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები... ეს ყველაფერი შეცვალა მოგონილმა მარქსისტულმა ექსპერიმენტმა, რომელიც ჩვენზე დააყენეს - უამრავი ხალხი დახოცეს, აწამეს, გააუფლდურეს, მენტალურად დააზიანეს. დღეს მეც და ჩვენ ყველანი, მენტალურად მუტანტები ვართ. ძალიან ხშირად ამას ვერც ვამჩნევთ, ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ქცევა კი სწორედ ამის შედეგია.

თუმცა, ახლანდელი ვითარება ძალიან განსხვავდება 90-იანი წლებისაგან - იგივე ხალხი, იგივე ფსიქოლოგია, იგივე ქართველები, მაგრამ უფრო წინ წაწეული ქართველები ვართ. მეტი სტრატეგიული კულტურა გვაქვს, უფრო კარგად გვესმის სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები გვესმის კარგად, ადლოს უკეთ ვუძღებთ გინდ ეკონომიკურ და გინდ პოლიტიკურ პროცესებს. ჩვენი საზოგადოება ძალიან წინ არის წასული. ძალიან კარგად მახსოვს ის დრო, როდესაც ყველას ეგონა, რომ ბორჯომი, ჩაი და ორივე საბაჟო შეინახავდა ქვეყანას. ვინც ამბობდა, რომ ეს ასე არ იქნებოდა, მაშინვე კრემლის აგენტის იარაღის აკრავდნენ. ბატონობდა პროვინციული ლიტერატურული კრიტიკა და პროვინციული ვითომ ისტორიკოსები. ვინც მაშინ გამოვიდა ასპარეზზე, რაც შეიძლება ხმაბალა უნდა ეყვირა ლოზუნგები პატრიოტიზმზე.

- მაგრამ, მაშინ მთავარი ამოცანაც სხვა იყო - დამოუკიდებლობა.

- გეთანხმებით, ამოცანა სხვა იყო და ახლაც რაც ხდება, ისაც ბუნებრივია. ჩვენ ახლა შეუდარებლად წინ ვართ. ხალხი იზოლაციონირებდა ცვიოდა, კვდებოდა, ჩემი ახალგაზრდა მეგობრები ბიჭი სულ უბრალოდ, ქუჩაში დიღობის გამო პოლიციელებმა ცემით მოკლეს და... არავითარი

რეაქცია არ იყო. დღეს ყველაფერზე ვრეაგირებთ

- და ეს კარგია.

- რა თქმა უნდა. როგორ შეიძლება ხელისუფლებას თავის ჭკუაზე სიარულის ნება მისცე?! ოპოზიცია და საზოგადოება სანიტრები უნდა იყვნენ. საზოგადოება იმდენ დემოკრატიას მიიღებს, რამდენსაც მოითხოვს.

ვარდების რევოლუციით ხელისუფლებაში ახალგაზრდა ხალხი მოვიდა. მათ ეს მოდათ, რომ ძველი ყველაფერი უნდა დაინგრეს, უკეთესი ქვეყანა უნდოდათ, მაგრამ გამოცდილება არ ეყოთ.

ეს ახალგაზრდებიც სხვადასხვაგვარნი იყვნენ - ზოგი ოპორტუნისტი იყო და ზოგიც კიდევ სხვაგვარი, იდეალისტები ჩვენს დროში ბევრი არ არიან. მათ ბევრი რამ გააკეთეს, ბევრი - ვერა და ბუნებრივია, რაღაც გადაცდომები მოუვიდათ. ვინც არაფერს არ აკეთებს, ის არ ცდება... ანგელოზი არავინაა და მათ შორის, არც მე. უკმაყოფილება იქნება, მაგრამ ეს სხვა ფორმებით უნდა იყოს გამოხატული. გარდა ამისა, რაღაც კულტურა უნდა გვეკონდეს - ქუჩა არ უნდა იყოს პოლიტიკური პროცესების თანამართელი ძალა. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ის ქუჩას ყოველთვის მართავს, ტყუილია.

- ოპოზიცია ამბობს, რომ ქუჩაში დგომა მისი არჩევანი არაა, მაგრამ მაინც ქუჩისკენ მიდის ყველაფერი.

- ძალიან ადვილია, ქართველი რაღაცის წინააღმდეგ აწიო. ჩვენ ხომ ემოციის ხალხი ვართ. ამიტომაც საფრთხილი.

- თანამედროვე მკვლევარები ფიქრობს, რომ ჩვენი საზოგადოება თითქმის თანამედროვე იყოფა ორ ნაწილად - ვისაც კვლავ რუსეთის ფრთის ქვეშ უნდა ყოფნა და ვისაც დასავლეთი ხიბლავს. თქვენ რას ფიქრობთ, ეს დაყოფა ასე თევზისაა?

- ამას ხანდახან ვისმენ და გული მტკივა. ხალხმა, რომელმაც საბჭოთა კავშირის დროს იცხოვრა, მაინც ვერ გაიგო, რაში მონაწილეობდა, ცოდა არ ანუხებს, ვერ გაუგია და მაინც იმას მისტრის. მე, მაგალითად, სულ მჭამს ცოდა, რომ ამბო ვმონაწილეობდა.

ყოველთვის ახალგაზრდობის იმედი მაქვს. სხვანაირი ახალგაზრდობა გვყავს - ლალია, თავისუფალი, შეიძლება განაბლა აკლია, ან ზრდილობა, მაგრამ ეს სხვა რამაა. რუსეთუმეობისგან შორს არიან. ჩვენ რუსულ პოეზიაზე და კულტურაზე გავიზარდეთ. კი, კარგია, მიყვარს, მაგრამ არსებობს საქართველოს ინტერესები, წინ დგას საქართველოს სახელმწიფო და რაც ჩვენს სახელმწიფოს ჭირდება, ის უნდა გაკეთდეს. ყველა პოლიტიკოსმა, ოპოზიციაში იქნება ის თუ ხელისუფლებაში, თავისი ქცევა სწორედ ამით უნდა გაზომოს.

- თქვენს ორგანიზაციას სტრატეგიული კვლევების გამოცდილება აქვს. რა რეკომენდაციას გასცემდით - ვინ რა უნდა დათმოს, ვის რა სტრატეგია უნდა ჰქონდეს?

- ამის პრეცედენტები ჩვენთან არ არიან და არც რეცეპტები არსებობს. ერთადერთი, რისი თქმაც შეიძლება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო ინსტიტუტები. რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ვადაწინააღმდეგებ, რომ ეს ინსტიტუტები ძლიერი არ არის...

- დღევანდელ ხელისუფლებაში წარსული რეფორმატორად ნოდელი უწოდებენ. რატომ ვერ მოახერხეს მათ სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება?

- ამის ობიექტური მიზეზია ის, რომ იმ ხალხში, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, ძალიან ბევრი არ არის თანამედროვედ მოაზროვნე, ხელისუფლების შიგნითაც ძალიან დიდი სხვაობებია. ჩვენი ელიტა ისაა, რაც საბჭოთა კავშირმა დაგვიტოვა, ახლის შექმნას კი თაობები ჭირდება. ამიტომაც არ მიკვირს, რაც ახლა ხდება. მაგრამ, ადამიანი, რომელიც ყველა ასეთ სიტუაციაში ნაშოტივტივდება ხოლმე და რაღაც სარგებელს ეძებს, მალიზიანებს. თან, ყველამ იცის, რასაც ეძებს.

- შექმნილი ვითარება არ გაკვირვებთ, მაგრამ რა ვაშინებთ ყველაზე მეტად?

- ის მაშინებს, რომ თუ ისევე სისულელები გავაკეთებთ, ჩვენს მტრებს გავაზარებთ. ამ ომის შემდეგ გაძლიერებული მაქვს დამცირების გრძობა, რომელიც რუსებმა მოგვაცენეს. ყველაზე მეტად ის მინდა, ქვეყანამ დემოკრატიული გზიდან არ გადაუხვიოს.

საქართველოს, ასე თუ ისე, დემოკრატიის გზით მიდის - ზიგ ზაგებით, ხანდახან ერთი ნაბიჯით წინ, ორით - უკან, მაგრამ საბოლოო ჯამში, მაინც მიდის. ჩვენთან იმდენი დემოკრატიაა, რამდენსაც ხალხი ითხოვს. ისიც ხომ ფაქტია, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ბევრი მონაწილეობა უნდა აქვს.

განათლების სისტემა უნდა დანერგულიყო, მაგრამ ახლის აშენება რთულია, რადგან ახალ სისტემას ახალი კადრები ჭირდება. ნებისმიერი სწრაფი რეფორმა მტკივნეულია, სოციალური ანესთეზიისთვის კი ამ ხელისუფლებას რესურსები არ აქვს. პოსტსაბჭოთა სისტემაში ასეთი რესურსი არავის აღმოაჩნდა. ქვეყანა ევოლუციური გზით უნდა წავიდეს, არავითარი რევოლუცია...

ორი რევოლუცია, სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომები... ეს რისი მაჩვენებელია? საზოგადოების პოლიტიკური უშიფრობის, ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს სისუსტის, დემოკრატიის ტრადიციების არქონის. ინგლისმა მეორემეტყ საუკუნეში, თითქმის მთლიანად მოსოპ სასამართლოზე შევის გავლენა. თავისუფლების დიდი ქარტია მეორემეტყ საუკუნეშიდან მოდის და ეს გვაინფიცება. ჩვენთან არც მეზობლად რუსეთი, ეს საშინელება არც ყოფილიყო, ბევრი რამ არ იქნებოდა საშინო.

ყველა უკმაყოფილომ დღეს დაიწყო კვილი. ჩვენ ხომ ვიცით, ბევრი რატომ კიონ - პირადი ამბიციებისთვის ახალგაზრდა სახელმწიფო არ უნდა ვაღირო.

- ამას ხელისუფლებას ეუბნებიან თუ ოპოზიციას?

- გარკვეულწილად, ორივეს. მაგრამ, ერთს რაღაც აქვს გაკეთებული, მეორეზე - ვერაფერს გეტყვით. ის კი ვიცი, რომ მე-სამეჯერ ხელისუფლების ძალადობით შეცვლა დაუშვებელია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თანამედროვე სახელმწიფოს აღმშენებლები არ ვიქნებით. ეს ნიშნავს, რომ პათოლოგიური საზოგადოების შეილება ვართ და ეს დაუშვებელია.

არასოდეს ვიყავი გამსახურდიას მოტრფილი, მიმაჩნია, რომ ბევრი შეცდომები დაუშვა, მაგრამ მაშინაც არ მომწონდა რაც მოხდა. მაშინ პროტესტი უნდა გამოეთქვა და ეს რომ არ გავაკეთებ, დანაშაული ყოფილა, ახლა ვაღიარებ ამას. უნდა ვითმინოთ, ნელა, ნესიკრად უნდა ვაკეთოთ ჩვენი საქმე. ძალადობა თუ დაამკვიდრე, ვეღარ გაჩერდები. მათ, ვინც მოვა, რა გარანტია აქვთ, რომ იგივე მეთოდით არ ჩამოვადებენ? პირიქით, გარანტია ექნებათ, რომ ასევე გადაადებენ

კიდევ კარგი, რომ ვარდების რევოლუცია სისხლისღვრაში არ გადავიდა, მაგრამ ქართველ ხალხს ამ რევოლუციამ უჩვენა, რომ ყველაფერი შეიძლება. და ეს ცუდია. მაგრამ, იმ რეჟიმმა შესაძლებლობები მთლიანად ამოწურა, დღევანდელ ხელისუფლებაზე, რა თქმა უნდა, ამას ვერ იტყვი და თუ ამბობენ, ეს მხოლოდ ლოზუნგებია.

- ოპოზიცია შექმნილი ვითარებას კრიზისს უწოდებს, ხელისუფლება - არა. თქვენ რას ფიქრობთ?

- შეიძლება დაარქვა კრიზისი და შეიძლება - არა. დამოუკიდებლობის შემდეგ ჩვენთან სულ ასე არ ვართ? ხალხი დაილა... ხანდახან ისეთი შეგრძობა მაქვს, რომ არაფრის გაკეთება, შექმნა არ გინდა, - ცხოვრობ 7 ნოემბრიდან 9 აპრილამდე...

- დღეს, ჩვენი საუბრის დროს, ლონდონში ობამა-მედვედვის პირისპირ შეხვედრა იმართება. მთავარი საკითხების ჩამონათვალში საქართველო არ იყო, მაგრამ ამ თემაზე საუბრის მოლოდინი არსებობს. რას ელით?

- ამ შეხვედრაზე საქართველო სულ რომც არ ახსენონ (და შეუძლებელია, სულ არ ახსენონ), და ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვეული ნორმებზე შეთანხმდნენ, ეს უკვე დიდი ამბავია.

ამერიკელების მიერ გაცხადებულია, რომ მოკავშირეების, პარტნიორების გაცხადვა არ მოხდება. ამერიკის პირველი სამხედრო ადმირალი მალენი, ჰელსინკში რუსეთის არმიის გენშტაბის უფროსს გენერალ მაკაროვს შეხვდა. მაკაროვმა უთხრა და ეს პრესაშიც მოხვდა, დაიწყეთ საქართველო და ურთიერთობა თავიდან დაიწყეთ. ამაზე მან უარი მიიღო. ეს საუბარი სულ მიმდინარეობს და პრეზიდენტების შეხვედრაზე უამრავი გზავულები მუშაობენ - ჩადახ, ჩამოდიან, მიხერ-მოხერა, კისინჯერიც კი ჩაიყვანეს... ამ შეხვედრებზე სულ ამაზეა საუბარი, რა პრინციპებით ვიპოვებთ. იმის მიხედვით, რა ინფორმაცია გვართ გამოდის, ჩანს, რომ ჩვენ არ გვყავიან. მით უფრო, რომ ადმირალ მალენის მოადგილე იყო ჩამოსული და ჩანს, რომ რაღაცეებმა წინ წაიწია. ქარტია, რომელიც წინა პრეზიდენტის მმართველობის ბოლოს გამოქვეყნდა, ცხადია, ახალ ადმინისტრაციასთან იყო შეთანხმებული.

ამერიკას თავისი მიზანი აქვს - ბირთვული შეიარაღების შემცირება, ირანის მითითება. მათ იციან, რომ რუსეთის ბევრი არ შეუძლია, მაგრამ რუსეთი ამბობს, დამითმეთ გავლენა პოსტსაბჭოურ სივრცეში და მე თქვენ ავლანეთთან მოგვხმარებთ... გავლენის სფეროში უკრაინა და საქართველო იგულისხმება. ეს ორი ქვეყანა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და სულ აქ აქვს პრეტენზიები რუსეთის.

- გგონიათ, რომ რუსეთის ეს ბრძოლა გარეთ თუ შიგნით მისი ბოლო გაბრძოლებაა საქართველოსთვის?

- რა თქმა უნდა, ბოლო არ მგონია. რუსეთის სადამდეც ძალუბა, ამას იქამდე გააგრძელებს. სწორედ ამიტომ გვინდა დასავლურ სტრუქტურებში სწრაფი ინტეგრაცია...

- თქვენი აზრით, რამდენი ხნით გადაინია თემა საქართველო ნატო-ში?

- ხანდახან, პოლიტიკაში ბევრი რამ სწრაფად ხდება. შეიძლება, შეიცვალოს გეოპოლიტიკური კომბინაციები. შეიძლება, რუსეთის ქცევაში ამ თემის დაჩქარება ან შენელება გამოიწვიოს. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ სანამ შენ წევრი არ ხარ, ნატო გარანტი არ არის. მაგრამ ნახეთ, რუსები დასავლეთს აბრუნებენ, თქვენ ფართოვდებით. რუსეთი არასდროს არ ამბობს, საქართველოს უნდა ნატო-ში. ისინი კი არ ფართოვდებიან, ჩვენ გვინდა იქ შესვლა.

- მაგრამ, ავგისტოში ჩვენთან მმართველმა აბსოლუტურად ყველა დასავლური ღირებულება დაირღვა და გაამიწა, რომ თურმე ძალა ჯერ კიდევ მთავარია. რუსეთს დღესაც არ იღებენ დასავლეთში, როგორც აგრესორს... ევროპამ რა ისწავლა ავგისტოს ომით?

- დაიბ, აბსოლუტურად ყველა ღირებულება დაირღვა. რუსეთმა იმიტომ გაბედა ეს, რომ იცოდა, შერჩებოდა. ევროპის ზოგიერთ ქვეყანას საკუთარი თავის გარდა არაფერი ალღევს, მაგრამ ხომ ხედავთ, ევროპამ ერთად რა გააკეთა - უკრაინასთან ხელი მოაწერა უკრაინის გაზადენის რეაბილიტაციას, რითიც გაზის იმპორტი ევროპა უკვე ეახლებოდა რუსეთს. პუტინი ამას ვერც წარმოადგენდა, ეს მისთვის დიდი დარტყმაა. ესე იგი, ევროპამ რაღაც მაინც ისწავლა.

ამ დიდი ქვეყნების ჭიდაობა ჩვენსავით პატარა ქვეყანა სტაბილური უნდა იყოს.

ერთიანი მსოფლიო რეზერვი

ზენაცონალური ვალუტა დოლარის წინააღმდეგ

ბოლო ათწლეულების განმავლობაში აშშ მსოფლიოს ფინანსური ცენტრის როლს თამაშობდა, დოლარი კი ფაქტობრივად მსოფლიოს ერთიანი ვალუტად იქცა, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო ანგარიშსწორებათა უმრავლესობა. მაგრამ კრიზისის, რომელიც ამერიკაში დაიწყო და მთელს მსოფლიოში გავრცელდა, შედეგად დოლარის ღირებულებას მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც სავალუტო რეზერვებზე აისახა. ამიტომაც, ამა თუ იმ ქვეყნის, რომლებიც რეზერვებს ამერიკულ ვალუტაში ინახავენ, მთავრობები სულ უფრო ხშირად ახმოვანებენ ერთიანი მსოფლიო ვალუტის შექმნის იდეას, რაც აშშ-ს ძალიან არ მოსწონს.

როგორც ცნობილია, სარეზერვოს უწოდებენ უცხოურ ვალუტას, რომელიც თანხების აკუმულირებას და საერთაშორისო ანგარიშსწორებას ცენტრალური ბანკები ახდენენ. თავდაპირველად სარეზერვო ვალუტა ბრიტანული ფუნტი სტერლინგი იყო, მაგრამ 1944 წელს ბრიტონ-ფულდის კონფერენციაზე სარეზერვო ვალუტად აშშ დოლარი დაამტკიცეს. მალე ამერიკული ვალუტა საერთაშორისო ანგარიშსწორებებში დომინანტი გახდა.

ამგვარი იდეის წარმოშობის ერთ-ერთი წინაპირობა ბევრი ქვეყნის ეროვნული ვალუტის დევალვაცია გახლავთ. მართალია, ითვლება, რომ ადგილობრივი ვალუტის ღირებულების კლება ექსპორტიორებს დამატებით შემოსავალს აძლევს, ხოლო იმპორტულის გაძვირების ფონზე ადგილობრივ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას ხდის. მაგრამ დევალვაცია იწვევს მოქალაქეთა დანაზოვის შემცირებას, კომპანიები, რომლებმაც კრედიტი დოლარებში აიღეს, მისი კურსის გამყარების გამო, იძულებული ხდებიან, უკან მეტი დააბრუნონ.

ამ პირობებში მთავრობები სულ უფრო ხშირად ფიქრობენ ერთ-

პერიოდი	USD	DEM	JPY	GBP	FRF
1981-1985	0.540 (42%)	0.460 (19%)	34.0 (13%)	0.0710 (13%)	0.740 (13%)
1986-1990	0.452 (42%)	0.527 (19%)	33.4 (15%)	0.0893 (12%)	1.020 (12%)
1991-1995	0.572 (40%)	0.453 (21%)	31.8 (17%)	0.0812 (11%)	0.800 (11%)
1996-1998	0.582 (39%)	0.446 (21%)	27.2 (18%)	0.1050 (11%)	0.813 (11%)
პერიოდი	USD	EUR	JPY	GBP	
1999-2000	0.5820 (39%)	0.3519 (32%)	27.2 (18%)	0.1050 (11%)	
2001-2005	0.5770 (45%)	0.4260 (29%)	21.0 (15%)	0.0984 (11%)	
2006-2010	0.6320 (44%)	0.4100 (34%)	18.4 (11%)	0.0903 (11%)	

თიანი მსოფლიოს ან ზენაცონალური ვალუტის შექმნაზე, რომელიც ურთიერთანგარიშსწორებას გაამარტივებს, სხვადასხვა ვალუტების კურსის მკვეთრი ცვლილებით გამოწვეულ ნეგატიურ ეფექტს და დოლარზე დამოკიდებულებას შეამცირებს. ამასთან, შესაძლებელი გახდება ანტიკრიზისული პროგრამების განსახორციელებლად მეტი კრედიტის მიღება.

ერთიანი მსოფლიო ვალუტის შექმნის იდეა საჯაროდ პირველმა ცნობილმა ამერიკელმა მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა გაავრცელა. მიმდინარე წლის დასაწყისში მან განაცხადა, რომ აუცილებელია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელოვნური საანგარიშსწორებო საშუალების SDR-ის მექანიზმი, რომელიც 1969 წელს შექმნეს და სავალუტო კალათას დაუკავშირეს, გაფართოვდეს. დღეს SDR-ი მსოფლიო ეკონომიკაში აქტიურად აღარ გამოიყენება და მხოლოდ ოთხ ვალუტასთან - დოლართან, ევროსთან, ფუნტ სტერლინგთან

და იენთან არის დაკავშირებული.

SDR-იზოლოდ უნდადო ფორმით, საბანკო ანგარიშებში ჩანაწერების სახით ვრცელდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი SDR-ის კურსს ყოველდღიურად ავრცელებს, მისი საპროცენტი განაკვეთი ყოველკვირეულად, კალათაში ვალუტათა წონა კი ხუთ წელში ერთხელ გადაიხედება. სოროსის აზრით, SDR-ის მასშტაბური გამოყენება ქვეყნებს საშუალებას მისცემს, ანტიკრიზისული პროგრამების განხორციელებისას ლიკვიდურობის სათანადო მოცულობა მიიღონ. ცხადია, ამგვარად სახელმწიფოები მოახერხებენ თავიანთი ეკონომიკების სტიმულირებას ეფექტურად განახორციელონ. შედეგად, მსოფლიო ეკონომიკა სერიოზულ მხარდაჭერას მიიღებს, საერთაშორისო საჭრობა გამოცოცხდება და გლობალური კრიზისი შესუსტდება.

სოროსის შემდეგ ზენაცონალური ვალუტის შემოღებას მხარი დაუჭირა ყაზახეთის პრეზიდენტმა

ნურსულთან ნაზარბაევმა. მალე ახალი იდეის მომხრეებს შეუერთდა ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ მანდელი, რომელიც ცნობილია როგორც ერთიანი ევროპული ვალუტის ინტელექტუალური არქიტექტორი. გარდა ამისა, SDR-ის მხურვალე მომხრეები არიან ჩინეთი და რუსეთი.

ზენაცონალური ვალუტის იდეა მოინონეს გაეროს ექსპერტებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ იგი თავის წვლილს შეიტანს ეკონომიკის სტაბილიზაციაში და მისი საშუალებით შესაძლებელი გახდება მსხვილი სავალუტო დაგროვებების დეფლაცია.

ერთიანი მსოფლიო ვალუტის წინააღმდეგ გაილაშქრა აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რომელმაც განაცხადა, რომ დოლარი მყარდება და ინვესტორები მას კვლავ ყველაზე ძლიერ ვალუტად მიიჩნევენ. ობამას თქმით, იგი დარწმუნებულია როგორც თავისი ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე დოლარში. აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა ტიმოთი გაიტნერმა კი განაცხადა, რომ დოლარი კვლავ არის მსოფლიოს სარეზერვო ვალუტა და ამ სტატუსს კარგახანს შეინარჩუნებს. საქმე ის არის, რომ ობამაც და გაიტნერიც დარწმუნებულნი არიან: ინვესტორები ამერიკას კვლავ ყველაზე ძლიერი ეკონომიკისა და სტაბილური პოლიტიკური სისტემის ქვეყნად მიიჩნევენ. ერთიანი ვალუტის იდეა არც ბრიტანეთს მოსწონს, რომლის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა განაცხადა, რომ ამ საკითხის განხილვის აზრს ვერ ხედავს.

გთავაზობთ ერთგვარ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდში 1 SDR-ის ღირებულებას სხვადასხვა ვალუტაში და ამ ვალუტების წონას პროცენტებში SDR-ის კალათაში.

კომერციული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივები 534.6 მლნ. ლარით შემცირდა

მანანა ვარლიანთი

2009 წლის პირველი მარტის მდგომარეობით საქართველოს საბანკო სექტორი 20 კომერციული ბანკითა წარმოდგენილი. 15 მათგანის საწვდომი კაპიტალში უცხოური კაპიტალი მონაწილეობს, 2 ბანკი კი უცხოური ბანკის ფილიალია. წლის დასაწყისთან შედარებით საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივები (მიმდინარე ფასებში) 534.6 მლნ. ლარით, ანუ 6 პროცენტით შემცირდა და 8331.0 მლნ. ლარი შეადგინა.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 1497.4 მლნ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივების 18 პროცენტია. უმსხვილესი აქტივების მქონე ხუთი ბანკის წილი საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში წლის დასაწყისიდან 79.3-დან 78.5 პროცენტამდე შემცირდა. საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების (მიმდინარე ანგარიშების და ვადიანი დეპოზიტების) მოცულობამ 3 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 1.3 პროცენტით მეტია 2008 წლის შესაბამისი პერიოდისათვის არსებულ მაჩვენებელზე. უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 19.1 პროცენტით გაიზარდა, ეროვნული ვალუტით მოცულობა კი 32.6 პროცენტით შემცირდა.

დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 77 პროცენტია. კომერციული ბანკები ბოლო ერთი წლის მანძილზე ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე უფრო მაღალ სარგებელს იხდიდნენ, ვიდრე უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე. თუ ამ პერიოდის განმავლობაში დეპოზიტებზე საშუალო წლიური შენონილი საპროცენტო განაკვეთი 9.5 პროცენტს შეადგენდა, ეს მაჩვენებელი ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 11.3 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 8.8 პროცენტს იყო. მიმდინარე წლის პირველი მარტისათვის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილი 75.9 პროცენტს, ხოლო ევროს წილი 23.6 პროცენტს იჭირებს.

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), გასული წლის პირველი მარტის მდგომარეობასთან შედარებით, 956.8 მლნ ლარით (19.8 პროცენტი) გაიზარდა და 2009 წლის პირველი მარტისთვის

5.8 მლრდ ლარს მიაღწია. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 7.5 პროცენტით, ანუ 1.5 მლრდ ლარამდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების ზრდამ 33.3 პროცენტი შეადგინა და 4.3 მლრდ ლარს გადააჭარბა. ამდენად, სესხების საერთო მოცულობის ზრდა უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ზრდის შედეგია.

რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2009 წლის თებერვლის ბოლოს კომერციული ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 597.3 მლნ ლარის (გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 31.2 პროცენტით ნაკლები), ხოლო უცხოური ვალუტით - 2.6 მლრდ ლარის (გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 22.2 პროცენტით მეტი) მოცულობის სესხი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2009 წლის პირველი მარტისთვის დაკრედიტების მოცულობა უძრავი ქონებით ოპერაციული მოცულობის სფეროში 1.7-ჯერ გაიზარდა და 137.1 მლნ ლარი შეადგინა. 1.4-ჯერ, ანუ 37.5 მილიონ ლარამდე გაიზარდა დაკრედიტების მოცულობა ჯანდაცვისა და სოციალური მოსახურების სფეროში. თუმცა, ამ დარგების წილი

ვადიანი სესხების საერთო მოცულობაში კვლავ უმნიშვნელოა.

იურიდიული პირების დაკრედიტების მთლიან მოცულობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი - 47 პროცენტი ვაჭრობის სფეროზე მოდის. განვილი 12 თვეში ვაჭრობის სფეროზე გაცემული სესხების მოცულობა 3.9 პროცენტით გაიზარდა და 1.5 მლრდ ლარს მიაღწია.

მრეწველობაზე გაცემული სესხების წილი იურიდიულ პირებზე გაცემული ვადიანი სესხების საერთო მოცულობაში 19.9 პროცენტს შეადგენს, რაც 2009 წლის პირველი მარტისათვის 63.1 მლნ ლარით განისაზღვრა (18.6 პროცენტით მეტი, გასული წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით). 12.3 პროცენტი მშენებლობის წილია, რაც 390.7 მლნ ლარია (შესაბამისად, 4.4 პროცენტით მეტი). ამდენად, იურიდიული პირების დაკრედიტების საერთო მოცულობის 79.3 პროცენტი მხოლოდ სამ დარგზე - მრეწველობაზე, მშენებლობასა და ვაჭრობაზე მოდის. გასული 12 თვის განმავლობაში მნიშვნელოვნად - 36.5 პროცენტით გაიზარდა ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და 2009 წლის 1 მარტისათვის 2.3 მლრდ. ლარს მიაღწია.

ზრდა აშშ-ს ბირჟაზე

გუშინ, აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა ტექნოლოგიურ სექტორის კომპანიათა აქციების ზრდამ და დამამიძებლებმა ვითარებამ მოახდინა. გარდა ამისა, მასიური გაყიდვების შემდეგ აღდგენა დაიწყო ფინანსურმა სექტორმაც. საბოლოოდ, Dow Jones Index 1,14 პროცენტით, 7,608,92 პუნქტამდე გაიზარდა. 1,78 პროცენტით გაზრდილია Nasdaq Index-მა 1,501,80 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 1,31 პროცენტით, 797,87 პუნქტამდე მოიმატა.

ნავთობის ფასმა მოიმატა

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ჰარელი Brent-ის მარკის ნავთობი 49,23 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 49,66 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ბუნებრივი აირის ფასმაც მოიმატა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერჯის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერჯის შეესაბამება) ღირებულებამ 6,22 დოლარი შეადგინა. "შავი ოქროს" გაძვირების მიზეზი გუშინდელი გაიაფების შემდეგ შესყიდვებისადმი ინტერესის ზრდა და საფონდო ბირჟაზე არსებული ოპტიმისტური სიტუაცია გახლდათ. სავარაუდოდ, ნავთობი კიდევ უფრო გაძვირდებოდა, მაგრამ ტრეიდერებზე კვლავ გავლენას ახდენდა აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგების მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ გუშინდელი გაავრცელებული ინფორმაცია.

ძვირფასი ლითონები გაძვირდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლო ბირჟებზე, ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 0,7 პროცენტით მოიმატა და 920 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 0,2 პროცენტით, 12,985 დოლარი/უნცამდე, პლატინა 0,6 პროცენტით, 1120,8 დოლარი/უნცამდე, პალადიუმი კი 0,7 პროცენტით, 218,8 დოლარი/უნცამდე გაძვირდა. ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების გაძვირების მიზეზი დოლარის ნავთობის ფასის კლება და დოლარის კურსის კლება იყო. გარდა ამისა, გავლენა საფონდო ბირჟაზე გამოცოცხებამ მოახდინა.

ჩაი სარეკორდოდ გაძვირდა

გაზეთმა Financial Times-მა გაავრცელა გაეროს სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის პროგნოზი, რომლის მიხედვითაც შავი ჩაის სარეკორდოდ გაძვირება მოსალოდნელია. შაქარი იმაშია, რომ ჩაის მსხვილ ექსპორტორ ქვეყნებში, როგორებიცაა ინდოეთი, კენია და შრილანკა, რომლებზეც მსოფლიოში წარმოებული ჩაის ნახევარი მოდის, გვაღვებია. ეს კი მსოფლიო ბაზარზე ჩაის მიწოდების 328 ათას ტონამდე შემცირებას გამოიწვევს, რაც შარშანდელთან შედარებით 5 პროცენტით ნაკლებია. ამ დორისათვის მსოფლიო ბაზარზე 1 კგ ჩაი 1,8-1,95 დოლარის ფარგლებში მერყეობს. სავარაუდოდ, ფასი 2,1 დოლარს მიაღწევს.

მდიდარი ქვეყნების შიდა პროდუქტი 4 პროცენტით შემცირდა

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, რომელსაც აგრეთვე "მდიდარი ქვეყნების კლუბს" უწოდებენ, თავკაცია ანხელ გურიას განცხადებით, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე წელს 4,3 პროცენტით შემცირდება. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ პროგნოზი უკვე მესამედ შეცვალა. გასული წლის შუაში ექსპერტები შიდა პროდუქტის 2 პროცენტთან ზრდას ვარაუდობდნენ, წლის ბოლოს 0,4 კლებას, ახლა კი პროგნოზი კიდევ უფრო გაუარესდა. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის დასაწყისში საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა აღიარეს, რომ აღიარეს, რომ მსოფლიოს პირველი დეპრესიული 60 წლის განმავლობაში გლობალური რეცესია ელის. მისი მიზეზი ფინანსური კრიზისია, რომელიც განვითარებული ქვეყნიდან დაიწყო და შემდეგ განვითარებადებზე გადავიდა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ინფორმაციით, მის წევრ ქვეყნებში უმუშევრობა 10 პროცენტს შეადგენს. ამ მაჩვენებელზე ნაკლები უმუშევრობა მხოლოდ იაპონიაში იქნება. როგორც ცნობილია, ორგანიზაცია 30 განვითარებულ ქვეყანას, მათ შორის, აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, აიპონიას, გერმანიას, ესპანეთს და იტალიას აერთიანებს.

მსოფლიოს კომპანიები ერთ კვარტალში 1.5 ტრილიონი დოლარის ობლიგაციები გაყიდეს

გამოცემა Financial Times-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ობლიგაციების მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კომპანიათა მიერ აღებული ვალუტის მოცულობამ 1,5 ტრილიონი დოლარი შეადგინა. აქედან, კომპანიებმა, რომლებიც საიმედოდ ითვლება, პირველ სამ თვეში 825,6 მილიარდ დოლარის მოზიდვა მოახერხეს, რაც შარშანდელ მაკვეთებელს ორჯერ აღემატება. ობლიგაციების ბაზარზე თანხების მოზიდვის სარეკორდო მაჩვენებლის მიუხედავად, შერწყმებისა და შთანთქმების სფეროში აქტივობა შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 36 პროცენტით, გლობალური ბაზრის მოცულობა 524,9 მილიარდ დოლარამდე შემცირდა, რაც 2004 წლის შემდეგ დაფიქსირებული მაჩვენებელია. აქტიურობის ეგზობი მნიშვნელოვანი კლების გამო ბანკებმა კონსალტინგური მომსახურებით მხოლოდ 2,4 მილიარდი დოლარი იმოვნეს, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 59 პროცენტით ჩამოუვარდნა.

სასამართლოს განმარტება

თბილისის საქალაქო სასამართლო უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ მოჭიდავე რევაზ ჭელიძე ოპოზიციურ ძალებთან კავშირის გამო დააკავეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოში განმარტავენ, რომ სასამართლომ იმსჯელა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე და ნარმოდენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ჭელიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრება შეუფარდა. სასამართლოში განმარტავენ, რომ რევაზ ჭელიძის დაკავებას საერთო არაფერი აქვს მის პოლიტიკურ შეხედულებებთან ან ოპოზიციასთან კავშირთან.

"რევაზ ჭელიძე სამართალდამცველებმა ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. დაკავებისას ჭელიძემ მოახერხა თან ნაქონი ნარკოტიკული საშუალების ნაწილის გადასაცემა, ხოლო ნაწილი მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რევაზ ჭელიძემ, ბრალდებულის სახით დაკითხვისას ნარდგენილ ბრალდებაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ სხვადასხვა საშუალებით მოიპოვებდა ნარკოტიკულ საშუალებებს და გადასცემდა მეგობარ ჩავლეიშვილს," - აცხადებენ თბილისის საქალაქო სასამართლოში. **საკუთარი ინფორმაცია**

სემინარი "თანამედროვე საჯარო მმართველობის ასპექტები"

2 და 3 აპრილს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტიში" გაიმართება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) მიერ ორგანიზებული ერთობლივი კონფერენცია თემაზე "თანამედროვე საჯარო მმართველობის ასპექტები".

კონფერენციას გახსნა საქართველოს იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადგიშვილი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულფუნქციონირი ელჩი საქართველოში დოქტორი პატრიცია ფლორი და GTZ-ის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს დირექტორი დოქტორი გაბრიელ ბიორინგერი. სიტყვით გამოვიდნენ ასევე: გერმანიის იუსტიციის სამინისტროს ყოფილი სახელმწიფო მდივანი იოჰან პალეი. გერმანიის უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე ქალბატონი მარინი ეკერც-ჰოფერი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი. კონფერენციაში მონაწილეობს 100-ზე მეტი ქართველი და უცხოელი სტუმარი.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) დახმარებით ახორციელებს პროექტებს საქართველოში სამართლებრივი რეფორმების გატარების მხარდასაჭერად, დემოკრატიული სტრუქტურების და სოციალური სამართლიანობის განვითარების მიზნით. კონფერენციაზე განხილული იქნება აქტუალური თემები საქართველოში და გერმანიაში საჯარო მმართველობის მოდერნიზებასთან დაკავშირებით. **საკუთარი ინფორმაცია**

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის სამართლის სკოლასა და საქართველოს შსს აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული მემორანდუმი შსს-ს აკადემიის მსმენელებს და კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტებს მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმარება, ასევე თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე იურისტების მომზადებასა და კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტების შემდგომ დასაქმებას შეუწყობს ხელს.

მემორანდუმის ფარგლებში მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელება დაგეგმილია. დაგეგმილია ასევე უცხოელი ექსპერტების ხელმძღვანელობით, ერთიანი ლექცია-სემინარების ორგანიზება, კავკასიის სამართლის სკოლის ბაზაზე საქართველოს შსს აკადემიის ლექტორთა კვალიფიკაციის ამაღლება, იმპირიული სასამართლო პროცესების ერთობლივად ორგანიზება, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს შსს აკადემიის ბაზაზე კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტებისათვის "იურიდიული კლინიკის" ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ასევე კავკასიის სამართლის სკოლისა და შსს აკადემიის ბიბლიოთეკების იურიდიული ლიტერატურით გამდიდრება. **პირველი**

ბოროტმოქმედთა ჯგუფის დაკავება მოსკოვში

მოსკოველმა სამართალდამცველებმა ბოროტმოქმედთა სამკაცოანი ჯგუფი დააკავეს. ჯგუფის ორი წევრი სეპარატისტული აფხაზეთის მაცხოვრებელია, ერთი ცეპარატისტული სამხრეთ ოსეთის.

ჯგუფის დაკავების მიზეზი ავტომანქანიდან ბოროტმოქმედების მიერ პორტფელის გატაცება გახდა, რომელშიც საბანკო დოკუმენტები, საკრედიტო ბარათები და მფლობელის პირადი დოკუმენტაცია იყო.

ბოროტმოქმედები "აუდის" მარკის შავი ავტომობილით მოძრაობდნენ.

მოსკოველი სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების შედეგად, აღნიშნული ავტობილი და მასში მსხდომი სამივე პირი დააკავეს.

მოსკოველი სამართალდამცველები დარწმუნებული არიან, რომ ბოროტმოქმედთა ჯგუფი ავტომობილების სალონებს ძარცვავდა. დაკავებული ბანდის "ანგარიშზე" ათობით ანალოგიური დანაშაულია. მიმდინარეობს გამოძიება. **ჯი-ეიჩ-ენი**

"ახალგაზრდული შტაბის" წევრები ჭარბის გადახდას არ აპირებენ

"9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის" წევრები, 31 მარტს მათი დაკავების ფაქტს უკანონოდ მიიჩნევენ და სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებენ. სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებული ახალგაზრდა ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ ჯარიმასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

ნიკა გოგინაშვილი, მამუკა გობეჩია, გიორგი ონიანი და დანი ცაგურია სამართალდამცველებმა გუშინწინ, რესტორან "მედიანთან" გამართულ აქციაზე დააკავეს. აქციის მონაწილეთა მტკიცებით, რესტორან "მედიანში" საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა. სასამართლომ დაკავებულები გზის გადაკეტვის გამო დააჯარიმა.

როგორც "9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის" წევრი დანი ცაგურია აცხადებს, სასამართლომ მას უსაფუძვლო ბრალდებები წაუყენა. მისი მტკიცებით, აქციის მონაწილეებს გზის გადაკეტვა არც უცდიათ.

ცაგურიას განმარტებით, პრეზიდენტის დაცვის სამსახური და საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელები - გოგა გრი-

ვალაშვილი და გიორგი გეგეჭკორი პირადად მონაწილეობდნენ აქციის მონაწილეთა ცემაში.

"არაფრის გადახდას არ ვაპირებთ და ამ საკითხს გავასაჩივრებთ როგორც ქართული მართლმსაჯულების ყველა ინსტიტუტის, ასევე სტრასბურგში. ეს დაკავება პირველი შემთხვევა არ არის. არც ერთხელ არ გადამიხდია არც ერთი თეთრი და ახლაც არც ერთ თეთრს არ შევიტან მიხეილ სააკაშვილის ბიუჯეტში," - აცხადებს დანი ცაგურია.

სასამართლომ თითოეულ დაკავებულს 400-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციული ჭარბის საფუძველს განმარტავს

"9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის" წევრების გიორგი ონიანის, ნიკოლოზ გობეჩიას, დანი ცაგურიას და შალვა გოგინაშვილის დაკავებასთან და მათი 400 ლარით დაჯარიმებასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტება გააკეთა.

"სასამართლოსთვის წარ-

მოდგენილი მასალების თანახმად, აღნიშნული პირები არ დემორჩილნენ პოლიციის თანამშრომელთა კანონიერ მოთხოვნას, გაეთავისუფლებინათ გზის სავალი ნაწილი და წესრიგის დამცველებს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა," - აცხადებენ სასამართლოში. სასამართლოს ინფორმაციითვე, სხდომაზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ტელეკომპანია "მაესტროს" ოპერატორის დაკითხვის თაობაზე, თუმცა მისი ვინაობა მხარემ ვერ მიუთითა. მხარემ ასევე ვერ დაადასტურა, რომ შემთხვევის ადგილზე არსებობდა ვიდეოკამერები, რომელთა საშუალებითაც აღნიშნული ინციდენტი გადაიღეს, შესაბამისად, სასამართლომ მათი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახური განმარტავს, რომ დანი ცაგურიამ სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მის მიერ პოლიციის თანამშრომელთათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

სასამართლომ ასევე მოისმინა და შეაფასა დამკავებელი პატრულ-ინსპექტორების - რომან ტორუას, მამუკა მაისურაძის, მამუკა ბლიაძის და სოლო-

მონ ამირანაშვილის ახსნა-განმარტებები, მონმის სახით დაკითხული და ადგილზე მყოფი სხვა პატრულ-ინსპექტორების - ლაშა ყიფშიძის, არჩილ ლონდარიძის და მაკა დადიანის ჩვენებები, რომლებიც ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გაფრთხილებული იყვნენ სასამართლოს მიერ.

"აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 31 მარტის დადგენილებებით, გიორგი ონიანი, ნიკოლოზ გობეჩია, დანი ცაგურია და შალვა გოგინაშვილი ცნობილ იქნენ სამართალდამრღვევებად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცველი ორგანოების მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობის ჩადენაში და დაცვით ადმინისტრაციული სახდელი 400 ლარით დაჯარიმების სახით," - განმარტავენ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

"კლინიკა ელჯი"-ს სასარბებლოდ გადაწყვეტილი სასამართლო დავა

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელე შპს "კლინიკა ელჯისთან" გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვდა, ასევე მოითხოვდა პრივატიზაციის ბათილობას და კლინიკის დაკავებული ფართიდან გამოსახლება.

აღსანიშნავია, რომ შპს "კლინიკა ელჯი" გახლავთ უახ-

ლესი ტექნიკით აღჭურვილი კლინიკა, რომელიც ემსახურება დასავლეთ საქართველოს რეგიონს, გარკვეულწილად დაკავებულია საქველმოქმედო საქმიანობით, მასში დასაქმებულია 100-მდე ფიზიკური პირი და მის მიერ შენობის რეკონსტრუქციაზე დახარჯული თანხა შეადგენს 130 000 ლარს.

შპს "კლინიკა ელჯი" შენობის ნაწილზე, კერძოდ, 1052,11 კვ.მ ფართზე გამარჯვებულად გამოცხადდა 2003 წელს და იმავე წლის 6 ნოემბერს მასთან გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. მოგვიანებით, საქართვე-

ლოს ეკონომიკური განვითარების ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამმართველომ სარჩელის მიმართა სასამართლოს და იმ მოტივით, რომ ფართი არ იყო შეტანილი საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში, მოითხოვა მის მიერვე განხორციელებული პრივატიზაციის ბათილობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ობიექტი კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებული

იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვაზეტ "მესაკუთრეში", ამავე სამინისტრომ მოგვიანე-

ბით მთელი შენობა, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს სადავო ფართი, შეიტანა საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში და მოახდინა ფართის სრულად გასხვისება, რითაც მან დაადასტურა თავისი ნების ნამდვილობა.

ამასთან, სასამართლომ ჩათვალა, რომ პრივატიზაციის განმახორციელებელი ორგანოს გულგრილი დამოკიდებულება პრივატიზაციის პროცესისადმი არ შეიძლება ქვეუღიყო კლინიკის პასუხისმგებლობის საფუძველად, რაც გახდა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ღრმად მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მოქალაქე, მაღალი კვალიფიკაციის ღვანლმოსილი მუშაკი, გამორჩეული თავმდაბლობით, გულისხმიერებით და ვაჟკაცობით

ომარ გენიაშინის ძე კაციტაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბატონმა ომარ კაციტაძემ სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო შრომითი საქმიანობა. ქ.ოდესის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. ასტარხანის ნისქვილკომბინატის მთავარი ინჟინრის მოადგილედ, ხოლო 1965 წელიდან საოლქო სამმართველოს მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი იგი 1966 წელს გადმოყვანილ იქნა საქართველოში, ქ. სოხუმში მშენებარე ნისქვილკომბინატის დირექტორად. აღნიშნული წარმოება ერთ-ერთი მოწინავე საწარმო გახდა საქართველოს მარცვალგადამამუშავებელ მრეწველობაში.

1974 წელს ბატონი ომარ კაციტაძე დაინიშნა საქართველოს დამზადების მინისტრის მოადგილედ, შემდეგ პირველ მოადგილედ.

1992-1993 წლებში, საქართველოსთვის ურთულეს პერიოდში ბატონი ომარი ხელმძღვანელობდა საქართველოს პურპროდუქტების სამინისტროს და შემდეგ პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციას.

ბოლო წლებში მისი ინიციატივით და აქტიური მუშაობით ჩამოყალიბდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "პროგრესი", სადაც იგი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მუშაობდა გენერალურ დირექტორად.

აღსანიშნავია, რომ ომარ კაციტაძე მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, წარმატებით ასრულებდა სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებებს და სისტემატურად მონაწილეობდა მთავრობის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. იყო სამართლიანი და ყურადღებიანი ხელმძღვანელი. თავისი შრომითი მოღვაწეობით მან შესამჩნევი კვალი დატოვა საქართველოს მარცვალგადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სფეროში. საზოგადოებრივ და შრომით საქმიანობაში მიღწეული საქმიანობისთვის მიღებული ჰქონდა საქართველოს მთავრობის ჯილდოები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

"რუსები არ არიან ჩვენი მეზობრები"

ამერიკელი ექსპერტები არ იწონებენ ეიფორიას მოსკოვთან ურთიერთობაში

წინა კვირას ვაშინგტონში, კონსერვატიულ ფონდ "ჰერიტიჯ"-ში (მემკვიდრეობა) წამყვანმა ამერიკელმა ექსპერტებმა შეაფასეს თეთრი სახლის მიერ რუსეთთან ურთიერთობებში გამოცხადებული "ხელახალი გადატვირთვის" შანსები. მათ აღიარეს რუსეთის ფედერაციასთან დიალოგის აუცილებლობა, მაგრამ მიიჩნიეს, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაცია მისგან (დიალოგისგან) ძალიან ბევრს ელოდება. უფრო მეტიც, ექსპერტები ფიქრობენ, რომ მოსკოვთან ლაპარაკის დროს ვაშინგტონს ადრინდელზე უფრო მეტი სიმკაცრის გამოჩენა სჭირდება.

ჯერ ფონდ "ჰერიტიჯის" წამყვანმა ექსპერტმა რუსეთის საკითხებში არიელ კოენმა, რომელიც კონფერენციას ხელმძღვანელობდა, გააკრიტიკა თეთრი სახლის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მოსკოვთან მოლაპარაკებისას ისინი შერიკის კონსერვატიული და ჯორჯ შულცის დაყრდნენზე "ამ სახელმწიფო მოღვაწეებს ალბათ დაავიწყდათ, რომ საქმე აღარ აქვთ

ბრუნების 70-იანი წლების სკლეროტიკულ რეჟიმთან ან გვიანი 80-იანი წლების, გორბაჩოვის პერიოდის საბჭოთა კავშირთან, როცა ის დაშლის პირას იყო, - განაცხადა კოენმა, - დღეს რუსეთის ხელი-სუფლება უფრო ახალგაზრდა და მკაცრია."

ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ტრანსატლანტიკური კვლევების ცენტრის ექსპერტი დონალდ ჯენსენი ფიქრობს, რომ "ამჟამინდელი რეჟიმი მოსკოვში ფუნდამენტურად არასტაბილურია." სწორედ ამიტომ, მას სჭირდება გარეშე მტერი შეერთებული შტატების სახით და მისი თანმხლები ანტიამერიკანიზმი. სწორედ ამიტომ, მოსკოვს უნდა შეეცადოს სურვილი. საკუთარი ნება უკარნახოს მეზობლებს, ვარშავის, კიევისა და თბილისის ჩათვლით.

კონფერენციის მონაწილეთა საერთო აზრით, რუსეთთან დიალოგი საჭიროა. "თუმცა აბსოლუტურად გაუგებარია, ვისთან უნდა გვეკონტაქტავს", - შენიშნა დონალდ ჯენსენმა. მან აღნიშნა, რომ ვლადიმირ პუტინისა და დემიტრი მედვედევის

ორხელისუფლებიანობა პრობლემას ქმნის ამერიკისა და სხვა ქვეყნებისათვის და დესტაბილიზაციის წყაროა როგორც რუსეთის ფედერაციის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების კოლეჯთან არსებული სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის პროფესორმა სტივენ ბლანკმა ობამას ადმინისტრაციას მოუწოდა "ძალიან ფხიზელი პოზიციებიდან მიუდგეს რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს." ის მიიჩნევს, რომ ამერიკას არ უნდა ჰქონდეს რუსეთის მხარდაჭერის იმედი ბევრ მნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემასთან მიმართებით. "რუსები არ ითანამშრომლებენ ჩვენთან ავღანეთის და ირანის საკითხებში. მიუხედავად იმისა, რომ სიტუაციის გამო ხშირად გამოხატავენ შეშფოთებას, ისინი ირანს საფრთხედ არ მიიჩნევენ." ანალიტიკოსის აზრით, ასევე შეცდომაა რუსეთთან დიალოგის იდეა ბირთვული იარაღის გაუფრცხვლებლობისა და ტერორიზმთან

ბრძოლის საკითხებში, რუსეთის პოზიციის მნიშვნელობის თვალსაზრისით.

"ჰერიტიჯში" შეკრებილი სპეციალისტები საერთოდ ფიქრობენ, რომ შეერთებულ შტატებს ძალიან რბილი მიდგომა აქვს რუსეთთან. მაგალითად, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორმა სვანტე კორნელმა გააკრიტიკა ვაშინგტონი არასაკმარისად მკაცრი რეაქციისთვის კავკასიაში შარშან განვითარებულ მოვლენებზე. მან დააზუსტა, რომ საქართველოსთან ომის შემდეგ "რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები თავის სამხედრო ბაზებზე გადააკეთა." კორნელის აზრით, დასავლეთის მზადყოფნა - აპატიოს რუსეთს - ქმნის არასტაბილურობას და იწვევს რუსეთის მეზობლების საპასუხო რეაქციას. ამასთან დაკავშირებით ექსპერტმა გაიხსენა ყირგიზეთის გადაწყვეტილება თავისი ტერიტორიიდან ამერიკული ბაზა "მანასის" გაყვანის შესახებ. "რატომ უნდა გვენდოს ყირგიზეთის ხელი-

სუფლება, როცა ხედავს, რომ არ გვაქვს საქართველოს დაცვის სურვილი?" - დასვა მან რიტორიკული კითხვა. ექსპერტის აზრით, სიტუაციის გამოსასწორებლად შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ რეალურად უნდა აამოქმედოს საქართველოსა და უკრაინასთან ცოცხალი ხიზნა ხელმონერილი ხელშეკრულებები სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, უფრო ინტენსიურად იმუშაოს აზერბაიჯანთან და დაეხმაროს ევროპას ენერგორესურსების მიწოდების დივერსიფიცირებაში.

"რუსები არ არიან ჩვენი მეზობრები, ისინი ჩვენი პარტნიორები არ არიან, - შეაჯამა დისკუსიის შედეგები ჯენსენმა, რომელიც თავის დროზე მოსკოვში ამერიკის საელჩოს პოლიტიკური განყოფილების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, - ჩვენი პასუხი რუსებისთვის აბსოლუტურად გასაგებია უნდა იყოს: მათი ცუდი საქციელი დაუსჯელი არ უნდა რჩებოდეს."

"კომერსანტის" მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ

რუსეთი შიშობს დაიხლოვოს

რუსულმა გამოცემამ "მოსკოვსკი კომსომოლცემა" აშშ-ს დაზვერვა-სა და რუს და ამერიკელ ექსპერტებზე დაყრდნობით ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ადრე თუ გვიან რუსეთი 6-8 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშლება.

გაზეთის პროგნოზით, რუსეთის შორეულ აღმოსავლეთს იაპონია და ჩინეთი აითვისებენ, კამჩატკა, ჩუკოტკა და ციმბირი აშშ-ს დარჩება, ვოლგისპირა რაიონი და ჩრდილოეთ კავკასია კი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ტრანსფორმირდება. გაზეთი მკითხველს იმასაც შეახსენებს, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში სვედლოვსკის გუნერნატორი ედუარდ როსელი ურალის რესპუბლიკის შექმნის გეგმაზე მუშაობდა, ივანგოროდის მოსახლეობას ესტონეთის შემადგენლობაში შესვლა სურდა, რუსეთის სამხრეთში კი კაზაკთა რესპუბლიკის ჩამოყალიბებაზე ოცნებობდნენ.

"ადვილად შესაძლებელია, რომ გაყინული კრიზისი, სოციალური დაძაბულობა და სეპარატისტული მისწრაფებები უმართავ კონფლიქ-

ტში გადაიზარდოს. მტერს არ სძინავს. მაგალითად, კალინინგრადში ბალტიის რესპუბლიკური პარტია რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან გამოსვლისთვის იბრძვის. დროდადრო მძაფრდება დისკუსია თემაზე: ხომ არ დადგა დრო, აღდგეს ისტორიული სამართლიანობა და კალინინგრად-კენიგსბერგი გერმანიას დაუბრუნდეს?" - აღნიშნულია "მოსკოვსკი კომსომოლცის" სტატიაში.

გამოცემას აკადემიკოს დიმიტრი ლევიის სიტყვებიც მოჰყვას, რომლის მიხედვით, ბოლო 20 წლის განმავლობაში რუსეთი უნიკალურ "სინაიზმის თვითწარმოების მექანიზმს" გამოიმუშავებს, როდესაც მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, სამაგიეროდ, ეკონომიკა კვდება და "ოდესმე ეს ჯოჯოხეთური ნაზავი ისე აფეთქდება, რომ ვერაფერს ვეღარაფერს გაიგებს."

"მოსკოვსკი კომსომოლცის" ინფორმაციით, ცნობილია ამერიკელმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბუჟინსკიმ უკვე ღიად განაცხადა, რომ 21-ე საუკუნეში აშშ რუსეთის ნანგრევებზე

განვითარდება. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაითმა პირდაპირ აღნიშნა, რომ გამოუყენებელი ნავთობითა და გაზით მდიდარი ციმბირი მთელი მსოფლიოს საკუთრებაა, რუსეთს არ ძალუძს ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროს აღჭურვა პორტებითა და ნავმისადგომებით და ამის გამო, მსოფლიო ეკონომიკის განვითარება ფერხდება.

გაზეთის ინფორმაციით, "მესამე სამყაროს" სახელმწიფო ინდოეთი საპროგრამო პროდუქტებით ნელინადში 40 მილიარდ დოლარს გამოიმუშავებს ანუ ხუთჯერ უფრო მეტს, ვიდრე რუსეთი იარაღის გაყიდვით.

"მოსკოვსკი კომსომოლცე" აღნიშნავს, რომ ქვეყანაში ჯერჯერობით სიმშვიდეა და მთელი იმედი მედვედე-პუტინის ურღვევ კავშირსა და "უდინაია როსიას" იმ აქტივისტებზეა დამყარებული, რომლებიც პარტიის პირველივე დამახებზე კრემლთან შეიკრებიან ტრანსპარანტებით: "მხარს ვუჭერთ მედვედე-პუტინის რეფორმების კურსს." თუმცა, გაზეთის მტკიცებით, ამგვარი მდგომარეობა დიდხანს არ გას-

ტანს, რადგან ფინანსური კრიზისის წინაშე რუსეთი უძლურია, რუბლის კურსი ეცემა, სურსათი ძვირდება, ნავთობის ფასი ოთხჯერ დაეცა, ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა საშუალო კლასი და პრაქტიკულად, გაუქმდა უფასო ჯანდაცვა და განათლება.

"როგორც ჩანს, არცთუ ისე დიდი არჩევანი გვაქვს: ან ჩვენი წიაღისეული განვი ევროპის ან სულაც აშშ-ს საკუთრება გახდება, ან ჩინეთი დაეპატრონება, რომელიც უფრო და უფრო აქტიურად ითვისებს ჩვენს შორეულ აღმოსავლეთ ტერიტორიებს და იჭრება ჩვენს ეკონომიკაში," - აღნიშნულია საგაზეთო სტატიაში.

"მოსკოვსკი კომსომოლცის" შეფასებით, დღეს რუსეთს დასავლეთისთვის იმაზე ნაკლები სტატუსი აქვს, ვიდრე 1913 წელს ჰქონდა. რუსეთის არმია, ისე როგორც მთელი საზოგადოება, მუდმივად იცვლება, მცირდება და დეგრადაციას განიცდის, ხოლო რომელიმე დანაყოფისთვის 3-4 ტანკის გადაცემა უკვე ღირსშესანიშნავი მოვლენაა. გაზეთისვე მტკიცებით, სამხედრო კავშირებისა

და ბლოკებისთვის რუსეთი უინტერესოა და სერიოზული კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთი იძულებული გახდება, ბირთვული ჩემოდანს დასტაცოს ხელი. ეს კი, გაზეთის შეფასებით, ხელს არავის აძლევს და რჩება მხოლოდ ის, რომ რუსეთის ტერიტორია გამოიყენონ მისი პირდაპირი დანიშნულებით ანუ როგორც მსოფლიოს მარაგი.

"პატარა საქართველოსთან ომის მოგებისა და უკრაინასთან გაზის "სარჩვენებელი ომის" ფონზე შესაძლოა ვინმეს მოეჩვენოს, რომ რუსეთი ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს და რომ დღევანდელი პრობლემები ცხოვრებისეული წვრილმანებია და ასეთი ბევრი ყოფილა ისტორიის განმავლობაში. მაგრამ თუ ეკონომიკის დაცემას ჩრდილოეთ კავკასიის "ცხელ წერილებს" დავუმატებთ, რომლებიც, ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, არ "გაცივდება", მაშინ ამბობებისა და დაცემისთვის ერთი პრცედენტიც საკმარისი გახდება," - წერს რუსული გამოცემა.

კითხვები ნეთანიაჰუს მთავრობის გარშემო

მარიკა იახვილი

ისრაელის ახალმა მთავრობამ თანამოქალაქეების იმედების გაცრუება ჯერ კიდევ მუშაობის დაწყებამდე მოასწრო. ბოლო პერიოდში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმეტესობა პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს არჩევანით უკმაყოფილოა - მათთვის გაუგებარია, რა საჭიროა ამდენი მინისტრი. მრავალრიცხოვან კოლეგიათა არსებობა თავად მთავრობის წევრებსაც არ მოსწონთ.

ისრაელის გამოკითხულ მოქალაქეთა 54 პროცენტი მინისტრთა ახალი კაბინეტი, რომლის პირველი სხდომაც სამშაბათს გაიმართა, უკმაყოფილოა. გამოკითხულთა ერთ მესამედზე ნაკლებმა კი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა დადებითად შეაფასა.

ისრაელის ახალ მთავრობაში სულ 30 მინისტრია. გაზეთ "ჰარეცის" ვერსიით, ებრაელები შეიძლება უკმაყოფილონი იყვნენ არა მხოლოდ მინისტრების რიცხოვნობით, არამედ იმითაც, რომ ბევრ მათგანს საკმაოდ ბუნდოვან-

ნი ფუნქციები დაეკისრა. გაზეთი შეგვახსენებს, რომ პრემიერმა ნეთანიაჰუმ მთავრობის სხდომის ცერემონიაზე ისრაელის პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში განმარტა, რომ მინისტრთა კაბინეტის მიზანს ორი პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს - თავდაცვისა, რაშიც ირანის ბირთვული პროგრამაც შედის და ეკონომიკური პრობლემებისა.

მიუხედავად ამისა, ისრაელის მცხოვრებთა უმეტესობა ვარაუდობს, რომ ახალი მთავრობა ვერ შეძლებს ამ პრობლემებთან გამკლავებას. ამ ვარაუდის ერთ-ერთი მიზეზი კი ეკონომიკის მინისტრის პოსტზე იუვალ შტანიციის დანიშნაა, რომელსაც მსგავს სფეროში მუშაობის გამოცდილება არა აქვს. პრემიერის ასეთი თამამი ნაბიჯი დადებითად მხოლოდ რესპონდენტთა 22 პროცენტმა შეაფასა. მეორე მინისტრი, რომელსაც ებრაელები უნდობლობას უცხადებენ, ყოფილი საბჭოთა კავშირელი ავიგდორ ლიბერმანი, რომელმაც ახალ მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი მიიღო. ამ დანიშვნის გამო კმაყოფილება მხოლოდ გამოკითხულთა 25



ბენიამინ ნეთანიაჰუ

პროცენტმა გამოთქვა. ამავედროულად ისრაელის მოქალაქეთა უმეტესობამ მონიშნა პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება ქვეყნის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელად ეჭუდ ბარაკის დატოვების შესახებ. გა-

მოკითხულთა ორ მესამედზე მეტმა განაცხადა, რომ ამ თანამდებობისთვის ბარაკი ყველაზე შესაფერისია. შესაბამისად "ჰარეცი" აცხადებს, რომ ბარაკი ისრაელის ახალი მთავრობის ყველაზე პოპულარული წევრია.

თუმცა როგორც ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან, ახალ მთავრობაში პირველი კრიზისი ჯერ კიდევ მთავრობის ოფიციალურად ამოქმედებამდე გაჩნდა - მას შემდეგ რაც პრემიერ-მინისტრმა "ვიწრო კაბინეტი" ხუთიდან რვა წევრამდე გააფართოვა.

"ვიწრო კაბინეტი" ანუ "მიტბაჰონი", ფაქტობრივად, მთავრობის ბირთვია, რომელიც ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს. ეჭუდ ოლმერტის მთავრობაში "მიტბაჰონის" წევრები თავად ოლმერტი, ციპი ლივნი და ეჭუდ ბარაკი იყვნენ.

ნეთანიაჰუსა და ლიბერმანის შეთანხმებით, ახალი მთავრობის "ვიწრო კაბინეტი" ხუთი წევრი უნდა ყოფილიყო - ნეთანიაჰუ, ლიბერმანი, ბარაკი და პრემიერ-მინისტრის მიერ არჩეული კიდევ ორი ადამიანი. თუმცა მინისტრთა პორტფელის დარიგების დროს ნეთანიაჰუ იძულებული გახდა, ბირთვში ადგილი კიდევ ოთხ მინისტრს დაჰპირებოდა. თუმცა, როგორც გამოცემა "ჰარეცი" იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრმა ამ გადაწყვეტილებას ვეტო მაშინვე დაადო.

ლონდონური სარობა პროტესტის ფონზე

ხათუნა ბაბიჯი

ანალიტიკოსები ამჟამინდელ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს გასული საუკუნის 30-იან წლების "დიდი დეპრესიასთან" აიგივებენ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზებზე მსჯელობისთვის "დიდი ოცეულის" (ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა, ავსტრალია, ბრაზილია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი, თურქეთი, იაპონია, ინდოეთი, ინდონეზია, იტალია, კანადა, მექსიკა, რუსეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სამხრეთი კორეა, საფრანგეთი, საუდის არაბეთი, ჩინეთი) ლიდერებმა თავი ლონდონში მოიყარეს. სამიტი ოფიციალურად ბუკინჰემის სასახლეში დედოფალთან გამართული მიღების შემდეგ დაუნიგ სტრიტზე სამუშაო ვახშმით დაიწყო.

ამოცანები და პრობლემები

უმაღლეს ფორუმზე დღის წესრიგში სამი უმთავრესი ამოცანა დგას, რომლებზეც შეთანხმება წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების ხელმძღვანელებს ორი დღის განმავლობაში მოუწევთ: პირველი - მსოფლიო ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად კოორდინირებული მოქმედება, რაშიც ცენტრალური ბანკების მიერ საანგარიშო ზღვრების დანერგვა და კერძო ბიზნესისადმი სამთავრობო დახმარების გაზრდა იგულისხმება; მეორე - აუცილებელია ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაზე საერთაშორისო კონტროლის გაძლიერება; და მესამე - "დიდი ოცეულის" ქვეყნები იმედოვნებენ, რომ შეძლებენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების რეფორმირების პროექტზე შეთანხმებას, როგორცაა მსოფლიო სავალუტო ფონდი, რათა გაძლიერდეს მათში განვითარებული ქვეყნების როლი. ზოგადად კი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სამიტს კარგი შანსი აქვს, შეაჩეროს მსოფლიოში პროტექციონიზმის მზარდი ტენდენცია, რომლის საპირისპიროდ ლონდონში შეიძლება საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება იქცეს.

რაც შეეხება ძირითად პრობლემებს, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს საერთაშორისო ფორუმი, რამდენიმე სახისაა. სავარაუდოდ, სირთულეებმა შეიძლება თავი იჩინოს საერთაშორისო თანამშრომლობის არქიტექტურის პრინციპებში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ოფიციალურმა ვაშინგტონმა, "დიდი ოცეულის" ევროპელი წევრებისგან განსხვავებით, მხარი დაუჭიროს იმგვარი ერთიანი სტანდარტების შემოღებას, რომლებიც შეიძლება "ოცეულის" შიდა საფინანსო ბაზრის მოქმედებები დაარეგულიროს. აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეფორმირების პრინციპების განხილვისასაც გაჩნდეს, რადგან განვითარებული ევროპული ქვეყნები შიშობენ, რომ მსოფლიო სავალუტო ბანკსა და მსოფლიო ბანკში "მესამე სამყაროს" პოზიციების გაძლიერებამ შესაძლოა ამ ინსტიტუტებში მათი გავლენის შესუსტება გამოიწვიოს. თანაც მიუხედავად იმისა, რომ "ოცეულის" მრავალმა წევრმა ქვეყანამ საკუთარი ეკონომიკების გაჯანსაღების პროგრამები უკვე მიიღო, ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენად მზად აღმოჩნდებიან ისინი წარმოებისა და საფინანსო სექტორის მხარდასაჭერად ბიუჯეტიდან ახალი თანხების გამოსაყოფად. ამდენად, არც ის არის გამორიცხებული, რომ დემიტრი მედვედევის მოწვევის საფუძველზე ბარაკ ობამა რუსეთს მიმდინარე წლის ივლისში ესტუმრება.



AFP. 2009

ლი, რომ რეფორმირების პროცესი წლების განმავლობაში გაჭიანურდეს, ხოლო ლონდონური შეხვედრა, უბრალოდ, კატალიზატორი იქნება.

საფრანგეთი კომუნიკეთი უკმაყოფილებას არ მალავს

ფორუმის კომუნიკეს პროექტი უკმაყოფილება უკვე გამოთქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ. ოფიციალური პარიზი, ვაშინგტონისა და ლონდონისგან განსხვავებით, ფინანსური კონტროლის კიდევ უფრო გამკაცრების მომხრეა.

"დიდი ბრიტანეთის თავმჯდომარეობით შემუშავებული კომუნიკეთი უკმაყოფილონი ვართ როგორც ჩვენ, ასევე გერმანია," - განაცხადა ნიკოლა სარკოზიმ რადიოსადგურ "Europe 1"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ფორუმამდე ერთი დღით ადრე იგი სამიტის ვადამდე დატოვებითაც იმუქრებოდა, თუკი შეხვედრის სხვა მონაწილეები არ გაითვალისწინებდნენ ოფიციალური პარიზის პოზიციას. საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრ კრისტინ ლაგარდის განცხადებით, სარკოზი ხელს არ მოაწერდა არც ერთ დოკუმენტს, თუკი მიიჩნევდა, რომ სასურველი შედეგები მიუღწეველი დარჩა. საფრანგეთი და გერმანია მსოფლიო საფინანსო სისტემის კარდინალური რეფორმის მიღწევას მარეგულირებელი და საზედამხებველო სტრუქტურებისთვის უფლებამოსილების გაფართოებით ცდილობენ, რაც დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების ინტერესებს არ პასუხობს. გარდა ამისა, ოფიციალური პარიზი ასევე უკმაყოფილოა ოფშორული საფინანსო ცენტრების დემონტაჟის პრობლემისადმი, მისი აზრით, არცთუ ისე მკაცრი მიდგომით.

განსხვავებული ხედვები

"დიდი ოცეულის" წევრების აზრთა სხვადასხვაობას მხოლოდ მსოფლიო საფინანსო სისტემის გაკონტროლების საკითხი არ იწვევს. მათ განსხვავებული ხედვა აქვთ სხვა ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზების შესახებაც. კერძოდ, ევროპული ქვეყნები არ ემხრობიან მიმდინარე და მომავალ წელს სახელმწიფო ხარჯების გაზრდას. ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრ ფან-კლოდ იუნკერის განცხადებით, კრიზისი შეერთებული შტატებიდან დაიწყო, ხოლო ანგლო-საქსონური სამყარო ყოველთვის უარს ამბობდა იმ კონტროლის დონის გაზრდაზე, რაც საფინანსო ბაზრებსა და საერთაშორისო საფინანსო სისტემაზე მეთვალყურეობას სჭირდება.

როპული ქვეყნები არ ემხრობიან მიმდინარე და მომავალ წელს სახელმწიფო ხარჯების გაზრდას. ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრ ფან-კლოდ იუნკერის განცხადებით, კრიზისი შეერთებული შტატებიდან დაიწყო, ხოლო ანგლო-საქსონური სამყარო ყოველთვის უარს ამბობდა იმ კონტროლის დონის გაზრდაზე, რაც საფინანსო ბაზრებსა და საერთაშორისო საფინანსო სისტემაზე მეთვალყურეობას სჭირდება.

ბარაკ ობამას ამაღლა

ლონდონში ბარაკ ობამა, მეულესთან ერთად, თვითმფრინავ "ბონინგ-747"-ით ჩავიდა. თვითმფრინავი აღჭურვილია ყველა საშუალებით, რაც კი შეიძლება პრეზიდენტს სამუშაოდ დასჭირდეს. ცნობილია, რომ იგი სპორტით არის გატაცებული და სპეციალურად მისთვის ლაინერი სავარჯიშო დარბაზითაც არის აღჭურვილი. საჰაერო ხომალდის უსაფრთხოების სისტემა შეძლებს პოტენციური მძლავრი ელექტრომაგნიტური ზემოქმედებისგან დაცვას, ხოლო საკომუნიკაციო საშუალებები მწყობრიდან არ გამოვა და რადიაციას გაუძლებს ბირთვული დარტყმის შემთხვევაშიც. ხმელეთზე დაშვებისას პრეზიდენტმა თავის ახალ დაჯავშნულ ლიმიზინში გადაინაცვლა, რომელსაც მეტსახელად "ურჩხული" შეარქვეს. ავტომობილის დამზადება 300 ათასი აშშ დოლარი დაჯდა. საჭიროების შემთხვევაში ლიმიზინის მგზავრებს თავდაცვა შეუძლიათ ცრემლსადენი გაზის გამოყენებით. ავტომობილის კონსტრუქციაში გათვალისწინებულია ასევე ლამის ხედვის ვიდეოკამერები და ჟანგბადის ბალონები. ტყვიის გარდა, "ურჩხულის" კორპუსი მდგრადია ასევე ქიმიური იერიშისა და სარაკეტო დარტყმისადმიც. გარდა ამისა, პრეზიდენტის ესკორტი ათობით ავტომობილს ითვლის. ბარაკ ობამას ლონდონში, სამედიცინო პერსონალის გარდა, თან ახლავს უსაფრთხოების სამსახურის ასობით თანამშრომელი, მრჩეველები, თანამშემნები და მხარეულთა მთელი გუნდი, სულ, დაახლოებით, 500 ადამიანი.

სამიტამდე შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან დაუნიგ სტრიტზე ისაუბრა, შემდეგ დედოფალ ელისაბედ II-ს შეხვდა.

თის პრემიერ-მინისტრთან დაუნიგ სტრიტზე ისაუბრა, შემდეგ დედოფალ ელისაბედ II-ს შეხვდა.

ურთიერთობების "გადატვირთვა" დაიწყო

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში "დიდი ოცეულის" სამიტზე დასასწრებად ჩასული შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და მისი რუსი კოლეგა დემიტრი მედვედევის პირისპირ შეხვედრა გუშინ შედგა. შეხვედრაზე, რომელიც, დაახლოებით, საათნახევარს გაგრძელდა, მხარეები თავდასხმითი შეიარაღების შეკვეცის შესახებ მოლაპარაკებების გამართვაზე შეთანხმდნენ. მოლაპარაკებები რუსეთსა და ამერიკას შორის თავდასხმითი შეიარაღების შემცირებაზე 10-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გაიმართება. ორი ქვეყნის ლიდერების შეთანხმების თანახმად, მოლაპარაკებების მწარმოებლებმა თავდასხმითი შეიარაღების შემცირების ხელშეწყობის ახალ ვარიანტზე სამუშაოს პროგრესულად მიმდინარეობის შესახებ ანგარიში ივლისში უნდა წარადგინონ. გარდა ამისა, მათ საერთაშორისო ურთიერთობებსა და ისეთ პრობლემურ რეგიონებზეც ისაუბრეს, როგორცაა ავღანეთი და ირანი. ობამა-მედვედევი ირანის ბირთვული იარაღის პრობლემის გადასაჭრელად დიპლომატიური გადაწყვეტილების მიღებასა და პირდაპირი დიპლომატიის გამოყენებაზე შეთანხმდნენ.

"იმის გათვალისწინებით, რომ ვალიარებთ ირანის უფლებას, განახორციელოს სამოქალაქო ბირთვული ენერჯეტიკის პროგრამა, საჭიროა, ირანმა აღიდგინოს ნდობა და დაამტკიცოს პროგრამის მშვიდობიანი მიზნები. მოვუწოდებთ ირანს, სრულად შეასრულოს გაეროს-ს უსაფრთხოების სისტემისა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს კომისიის რეზოლუციები," - ნათქვამია პრეზიდენტების ერთობლივ განცხადებაში, რომელიც შეხვედრის დასრულების შემდეგ გავრცელდა.

შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მხარეებმა აღნიშნეს, რომ მათ განსხვავებულ პოზიციებზე მეტი საერთო შეხების

წერტილები აღმოაჩნდათ. ვაირკვა, რომ დემიტრი მედვედევის მოწვევის საფუძველზე ბარაკ ობამა რუსეთს მიმდინარე წლის ივლისში ესტუმრება.

საერთაშორისო ურთიერთობები

"ბი-ბი-სი"-ს დიპლომატიურ კორესპონდენტ ჯეიმს რობინსის შეფასებით, ლონდონის სამიტი შეერთებული შტატების პრეზიდენტისთვის მისი უფლებამოსილებისა და ძალის დემონსტრირების საშუალებაა.

"თუნდაც ის, რომ ჯორჯ ბუში არა ხარ, უკვე დიდი უპირატესობაა. ბარაკ ობამას წინამორბედი თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე არაპოპულარული პრეზიდენტი იყო," - აღნიშნავს ჯეიმს რობინსი.

გარდა ამისა, მისი თქმით, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები შიშობდნენ, რომ კაპიტალიზმის მათეული მოდელი საფრანგეთისა და გერმანიისთვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა. დეტალური გარიგებები პირისპირ შეხვედრებზე მოსალოდნელი, თუმცა ევროპის დიდ ნაწილსა და ამერიკა-ბრიტანეთს შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად კონკრეტული გეგმის შემუშავება მაინც ნაკლებად სავარაუდოა.

მასშტაბური საპროტესტო აქციების ფონი

"დიდი ოცეულის" სამიტი ლონდონში უპრეცედენტოდ მასშტაბური აქციების ფონზე მიმდინარეობს. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქში მიღებულია უსაფრთხოების გამკაცრებული ზომები. საპროტესტო აქციებში მონაწილეობენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები, მათ შორის, ანტიგლობალისტები, სხვადასხვა ტიპის მემარცხენე თუ ანარქისტული მიმართულების ორგანიზაციები და ასევე ეკოლოგიის თავგამოდებული ასპეცელები.

სამიტამდე ბრიტანეთის დედაქალაქში აქტივისტები განსხვავებული შინაარსის მქონე ლოზუნგების ბუკლეტებს არიგებდნენ, რომელთა შორის ისეთი რადიკალური მოთხოვნებიც იყო, როგორცაა "ჩამოახრჩვე ბანკირი!" და "დავარდობით ბანკები!"

დემონსტრაციების ზოგიერთი ორგანიზატორი მსოფლიო ლიდერების შეხვედრას "ფინანსისტი რეგვენების დღესაც" უწოდებდა.

დემონსტრანტთა მხრიდან სერიოზული ინციდენტების თავიდან ასაცილებლად გამოყვანილი "სკოტლენდ იარდის" თანამშრომლები აღჭურვილნი არიან მხოლოდ ცრემლსადენი გაზითა და რეზინის ხელკეტებით. ისინი ფარეხსაც კი არ იყენებენ, თუმცა, პრემიერ-მინისტრის თქმით, თუკი დემონსტრაცია ძალადობის ფორმებს მიიღებს, პოლიცია სწრაფად მიმართავს შესაბამის ზომებს საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად. მეტნაკლებად სერიოზული შეტაკებები საპროტესტო აქციებზე 1 აპრილს მაინც მოხდა. დაშავებულია რამდენიმე დემონსტრანტი და სამართალდამცველი.

ორდღიანი სამიტის მსვლელობისას "სკოტლენდ იარდში" გაუქმებულია საშეხვედრო პერიოდი, ხოლო უსაფრთხოებას ექვემდებარება ტიპის პოლიციური ქვედასყოფი იცავს, რომელთა მუშაობა, ჯამში, 7.5 მლნ ფუნტი სტერლინგი ჯდება.

ლონდონის ფინანსურ ცენტრში - სითში მოქმედი კომპანიების თანამშრომლებს ურჩევენ, არ ჩაიცვან პიჯაკები სამსახურში ან, სულაც, სახლიდან იმუშაონ, თუკი ეს შესაძლებელია. მრავალი ბანკისა და მალაზიის ვიტრინები, თავდაცვის მიზნით, ხის საცავებითაა დაცული.

რევოლუ

ფოლდარი სახელად "მაგნუმი"

ეროვნულ მუზეუმში "მაგნუმის" ფოტოგრაფებთან შეხვედრები მიმდინარეობს

ნა ვაკაძა

იმ დღეს პარიზის მეტროსთვის ჩვეულებრივად დაიწყო და პრაქტიკულად ასევე ჩვეულებრივად დასრულდა. დღეს იმ ვაგონის ვერც ერთი მგზავრი ვერ გაიხსენებს, ინციდენტს, რომელიც ალბათ იქ ყოველდღიურად ხდება, თუმცა ერთ მგზავრს, უფრო სწორად კი მის ფოტობიუტების დღემდე ახსოვს თითქმის უმიზეზოდ დაწყებული, ერთი შეხედვით უწყინარი კინკლაობა, რომელიც ბოლოს დიდ ჩხუბში გადაიზარდა. "მაგნუმის" ფოტოგრაფ გიორგი პინხასოვის ფოტოალბომის დათვალიერება სწორედ ამ სერიით დაიწყო.

დღეს აღარავის უკვირს გულზე ფოტოაპარატ ჩამოკიდებული ადამიანის დანახვა - ფოტოგრაფია, გნებავთ ფოტოხელოვნება ამჟამად ჩვენთან ისე პოპულარულია, როგორც არასდროს. არადა იყო დრო, როდესაც თბილისში ჩამოსულს მხოლოდ ერთი - იური მეჩითოვი დაგამახსოვრდებოდა. თავის ძველი თბილისური ვოიაჟის გახსენებას გიორგი პინხასოვი სწორედ მეჩითოვით იწყებს. მისმა მოგონებებმა და ფოტოებმა კი "მაგნუმის" ფოტოგრაფების მასტერკლასების პირველივე დღეს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში მოიყარეს თავი. ფოტოგრაფიით დაინტერესებულებს პინხასოვის გარდა კიდევ ორ "მაგნუმელ-



მარტინ პარის ფოტოები



თან" მოუწევთ შეხვედრა: მარკ პაუერთან და მარტინ პართან (2 და 3 აპრილს).
"გნებავთ, რომ შეხვედრაზე ძირითადად ახალგაზრდები მოხვდით. უმეტესობა თბილისში ჩემი პირველი ვიზიტის შემდეგ დაიბადეთ. მახსოვს, მაშინ იური მეჩითოვისა და კიდევ ორიოდე ფოტოგრაფის გარდა სხვა არავინ გამიცნია. მაშინ ამხელა აუდიტორიას ნამდვილად ვერ შევავსებდი", - ასე დაიწყო ლექცია გიორგი პინხასოვმა, შემდეგ კი დამსწრეებს ფოტოგრაფიის ენით დაელაპარაკა.

გიორგი პინხასოვი მთელ მსოფლიოში ცნობილი და წამყვანი საა-

გენტო "მაგნუმის" ფოტოგრაფია, რაც მას მთელ მსოფლიოში მოგზაურობის საშუალებას აძლევს, მის კომპიუტერში კი ერთმანეთის მიყოლებით ჩნდება ფოტოდერები: "პარიზი", "მოსკოვი", "ნიუ იორკი", "კორეა" და ასე შემდეგ. მალე ამ ფოლდერებს კიდევ ერთი - "თბილისი" შეემატება, რადგან "მაგნუმის" ფოტოგრაფების ჩვენთან სტუმრობის მიზეზი მხოლოდ გამოცდილების გაზიარება კი არაა, საკუთარი ფოტოთვალის გავარჯიშებაცაა.

1952 წელს მოსკოვში დაბადებული პინხასოვი ერთადერთი რუსი ფოტოგრაფია, რომელიც დღეს "მაგნუმის" წევრია, ეს პატივი კი მას 1988

წლიდან აქვს. აღსანიშნავია, რომ იგი ანდრეი ტარკოვსკიმ პირადად მიიწვია "სტალკერის" ფოტოგრაფად და ფილმის გადაღების შესახებ რეპორტაჟის გასაკეთებლად. ბოლო წლების განმავლობაში პინხასოვი პარიზში ცხოვრობს და მუშაობს გაზეთებისთვის Geo, Actuel და ჟურნალ New York Times-სთვის. გამოცემული აქვს წიგნი Sightwalk, რომელშიც აბსტრაქციასთან მიახლოებული სინათლის სპეციფიკას განიხილავს.

დღეს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ინგლისელ მარკ პაუერთან იქნება შეხვედრა. იგი გაცილებით ტიტულოვანი ფოტოხელოვანია და ამრიგად მისი ლექცია არა-

ნაკლებ საინტერესო უნდა იყოს. პაუერის ნამუშევრები მსოფლიოს უდიდეს გალერეების კოლექციებშია, გამოცემული აქვს არა ერთი წიგნი და რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის პრიზსაც ფლობს. პაუერი "მაგნუმის" წევრი მხოლოდ 2007 წლიდანაა, თუმცა ეს სულაც არ მიიწვევა მისი ხელოვნების საზომად - მარკ პაუერს ნამდვილად აქვს მოსაყლოი. ბრიტანელია მარტინ პარიცი, რომელიც ძირითადად დოკუმენტურ ფოტოგრაფიაში მუშაობს. მისი სტილი საკმაოდ კრიტიკულია და ნამუშევრებში ხშირად აკრიტიკებს თანამედროვე საზოგადოებისა და მის და მოკიდებულებას ცხოვრებისადმი.

პინს 10-დან 15 წლამდე ასაკისაა და მღერის

"პირველმა არხმა" საბავშვო "ევროვიზიისთვის" დაიწყო მზადება

მათ, ვისაც სიტყვა "ევროვიზია" ყურს ცუდად მოხვდა და გაღიზიანების პირველადი ნიშნებიც დაეტყო, ახლავე დავამშვიდებთ - საუბარია საბავშვო და არა დიდების კონკურსზე. საბავშვო "ევროვიზია" კი სწორედ ის კონკურსია, რომელმაც შარშან შემოდგომაზე გამარჯვებაც მოგვითქანა და ოდნავ მაინც გაგვამხიარულა. "პირველმა არხმა" უკვე დაიწყო 2009 წლის "ევროვიზიის" შესარჩევი კონკურსისთვის მზადება, საუკეთესო კი უკრაინის დედაქალაქში გაემგზავრება.

საბავშვო "ევროვიზია" ჩვენთვის დაახლოებით იგივეა, რაც საქართველოს ნაკრები რაგბში, დიდების "ევროვიზიის" შედარება კი მხოლოდ საფეხბურთო ნაკრებთან შეიძლება. თავად განსაჯეთ - პირველსავე წელს მარიამ რომელაშვილმა კონკურსზე მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო შარშან "ბზიკებმა" ლელო დადეს, ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს და 15 ქვეყნის წარმომადგენელი უკან მოიტოვეს. დიდების "ევროვიზიის" მონაწილეებს კი არა თუ გოლი არ გაუტანიათ, პრაქტიკულად ჯერ კარშიც არ დაურტყამთ, წელს კი სულაც წითელი ბარათი გვაჩვენებს - სათადარიგოთა სკამი ხეხეთო. ჰოდა, ჩვენც ვხეხავთ - თურმე თუ Put in არ გინდა, ამის საფასურიც უნდა გადაიხადო. დიდების "ევროვიზიის" შესახებ მაისში კიდევ ერთხელ მოგახსენებთ - მოსკოვში საკონკურსო კონცერტები



სწორედ ამ დროისთვისაა დაგეგმილი, მანამდე კი კვლავ "რაგბისტებს" დავუბრუნდეთ.

იმისთვის, რომ "ბზიკების" მსგავსად ევროსცენაზე გასვლის უფლება


მოიპოვოთ, რამდენიმე აუცილებელ პირობას უნდა აკმაყოფილებდეთ: უნდა იყოთ 10-დან 15 წლამდე ასაკის, გეგნებოდეთ სიმღერა, ცეკვა და სცენაზე თავს უტყობო არ თვლი-

დეთ. შიდა შესარჩევი კონკურსის მონაწილეებს ჟიური შეარჩევს, რომლის ვინაობა ცხადია გასაიდუმლოებულია, თუმცა ვინაიდან ჩვენთან ამ საქმეს ძირითადად ერთი და იგივე

ადამიანები კურირებენ, ძნელი მისახვედრი არაა, ვის მოუწევს თქვენი შვილების შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ ჟიური და ფორტუნა კეთილი თვალით შემოგხედავთ და შიდა შესარჩევი კონკურსში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებთ, მაშინ სექტემბრისთვის უნდა მოემზადოთ. კონკურსი სწორედ ამ დროისთვის გაიმართება, მანამდე კი ყველა ინდივიდუალურ მომდერალს თუ ჯგუფს შეურჩევენ რეპერტუარს, იმიჯს, ქორეოგრაფიულად განვრთნიან და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებენ. ამ მხრივ "პირველ არხს" უკვე აქვს გამოცდილება და ბავშვების შემთხვევაში მართლაც საუკეთესოდ ართმევს თავს. განაცხადების მიღების ვადა კი 1-დან 30 აპრილის ჩათვლითაა.

საბავშვო "ევროვიზია" 2003 წლიდან იმართება და ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რეკორდსმენი ჰყავს - ბელორუსელი ბავშვი ორჯერ გახდა გამარჯვებული. ბოლოს ეს 2007 წელს მოხდა, როდესაც ალექსეი ჟიგალკოვიმ გაიმარჯვა, ხოლო მისი წარმატება ლამის სკანდალის ტოლფასი იყო - ბავშვი ამკარად ვერ მღეროდა. შედეგად კი ძალიან კარგი ბავშვები დაიჩაგრნენ, მათ შორის ჩვენი მარიამიც, რომელსაც ყველა სულ ცოტა სამეულში მოხვედრას მაინც უწინასწარმეტყველებდნენ. ჩვენს მსგავსად თითო გამარჯვება აქვთ რუსეთს, ესპანეთსა და ხორვატიას.

დათო ტყეშელაშვილის ხუთშაბათი



სოსო

1921 წელს, საქართველოს კიდევ ერთხელ დაპყრობის (სინამდვილეში მართლა დაპყრობის და არა გასაბჭოების) შემდეგ, თბილისის სტალინი ეწვია (რამდენიმე თვეში) და რამდენიმე შეხვედრა გამართა აღმწოდებულ მშრომლებთან. განსაკუთრებით ცუდად მას შეხვდნენ ნაძალადეგში, სადაც სიტყვით ისიდორე რამიშვილიც გამოვიდა - უკვე მოხუცებული სოციალ-დემოკრატი, რომელმაც სტალინის ყველაფერი საჯაროდ უთხრა, რაც ბოლშევიკებს საქართველოში (იმ რამდენიმე თვის მანძილზე), უკვე ჩადენილი ჰქონდათ. მსცოვანმა რევოლუციონერმა ისიც უთხრა იოსებ ჯუღაშვილს რომ რაც თებერვალში საქართველოში მოხდა, სინამდვილეში დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია იყო საბჭოთა რუსეთის მიერ და არა ერთი ხელისუფლების მეორეთი ჩანაცვლება, როგორც ამას ბოლშევიკები ამტკიცებდნენ.

დარბაზი ხალხით იყო სავსე და იმ ხალხმა ისეთი ოვაცია გაუმართა ბატონ ისიდორე რამიშვილს, რომ იგი სიტყვის დამთავრებისთანავე ხელში აიტაცეს და ჰაერში ატყორცნასაც უპირებდნენ, რომ არა სტალინი, რომელმაც ეს აღტაცებული ხალხი ომბახინად შეაჩერა. სოსო მიხვდა, რომ მისი და ბოლშევიკების საქმე მართლა ცუდად იყო საქართველოში, თბილისშიც და ამ დარბაზშიც და ერთი წუთით მომისმინეთო, იმ აღტყინებულ ხალხს, ყვირილით მიმართა. მერე ისიდორე რამიშვილისკენ ხელი გაიშვირა და ხმამაღლა თქვა ის, რასაც არავინ მოელოდა - ამ კაცს ტაშს როგორ უკრავთ ხალხო, ეს კაცი თავისი ცოლის დას ტყნავსო...

ცხონებული ისიდორე რამიშვილი რა თქმა უნდა მაშინვე მიხვდა, რასაც სტალინი იმ წუთში კადრულობდა და ამიტომაც იქვე იმის ახსნასაც შეეცადა რომ ცოლის და საერთოდ არ ჰყავდა სინამდვილეში და რომც ჰყოლოდა, უკვე იმ ასაკში იყო რომ ძალიან გაუჭირდებოდა ზემოთქმულის გაკეთება, მაგრამ ველარაფერი თქვა... რადგან გულის საშინელი შეტევა დაეწყო.

იმ ხალხმა კი, რომელმაც რამდენიმე წამის წინ ხელში აიტაცა მსცოვანი რევოლუციონერი, ხელი გაუშვა მას და იქვე დააგდო გაოგნებული ისიდორე რამიშვილი, რომელიც მხოლოდ თავისთვის ბუტბუტებდა უცნობ და გაუგებარ სიტყვებს. ყველაზე უცნაური კი მაინც ის იყო რომ იმავე ხალხმა ძირს-დაგდებული ისიდორე რამიშვილის ნაცვლად, ახლა უკვე სტალინი აიტაცა ხელში და იმ დარბაზიდან ვაშას ძახილით გაიყვანა გარეთ და ასე ხელშეატყებულ ატარა თბილისის დაპყრობილ ქუჩებში...

P.S. მგონი ისედაც გასაგებია თუ რატომ გამახსენდა ამ დღეებში ეს ამბავი, მაგრამ ჩემთვის ამ დღეებშიც გაუგებარია თუ რატომ არ აღმოჩნდება ხოლმე ხელისუფლებაში თუნდაც ერთი ადამიანი, ვინც ახალ და უფრო ჭკვიანურ გამოსავალს მოიფიქრებს, ვიდრე კიტოვანი, ბინაძე ან ბრეჟნევი...

ახალი გამოცემა "კოპალაში"

თამარ კიხნაველიძე

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ინსტიტუტი 1941 წლის 1 აპრილს დაარსდა. 2005 წელს კი, ამ ინსტიტუტისა და სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე, ჩამოყალიბდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. გუშინ, გალერეა "კოპალაში", სწორედ ამ ცენტრის მიერ გამოცემული წიგნებისა და ალბომების პრეზენტაცია შედგა. ასევე, მოენყო ქართული კულტურის ძეგლთა ფოტოების გამოფენა.

გ. ჩუბინაშვილისა და მისი კოლეგების მიერ დაფუძნებული ინსტიტუტი, რომელსაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის, დღემდე რთულ პირობებში ფუნქციონირებს. ამ ინსტიტუტის შენობა 1991-92 წლებში დაიწვა, შესაბამისად, ბევრი რამე განადგურდა, მაგალითად: ნახაზებისა და ანაზომების ფონდი, ფოტოთეკა, წერილობითი არქივი, სამუზეუმი ექსპონატები და ბიბლიოთეკის ნაწილი. უნიკალური ბიბლიოთეკის გადარჩენილი ნაწილის გამოყენება კი ახლაც შეუძლებელია, რადგან წიგნები ტომრებშია ჩანყოფილი - რ. თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე შენობის მესამე სართული ცენტრის ნორმალურ პირობებში მუშაობას ვერ უზრუნველყოფს.

ამ ცენტრის საქმიანობის გამოცოცხლებას ხელი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამ შეუწყო, რომლის ფარგლებში მომზადდა შემდეგი გამოცემები:

1. "თეატრის მხატვრობა - 1920-1950". შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია (დ. ლევაზინი, ე. ტუმანიშვილი, მ. ოკლევი);
2. "თბილისური სადარბაზოები" (ც. კლდიაშვილი, მ. მემარიაშვილი, თ. გერსამია);
3. "მცხეთის ჯვარი" (დ. ტუმანიშვილი, თ. ხუნდაძე, დ. ხომტარია);
4. "დავით გარეჯის მონასტრები" (ა. ვოლსკაია, დ. თუმანიშვილი, მ. ბულია);
5. "ქართული ქრისტიანული ხელოვნება" (დ. თუმანიშვილი, მ. დიდუბელი, კ. მაჩაბელი, ნ. აიფიხაძე, ა. ოქროპირიძე, ლ. ბუსკივაძე, თ. საყვარელიძე, მ. კეცხოველი);
6. "ზარათის ღმრთის მშობლის ეკლესიის მოხატულობა"



(ი. ხუსკივაძე); 7. "ქართული მხატვრობის ისტორიიდან"; 8. "რაჭა (მინისზერით დაზარალებული ძეგლები) (ნ. ლალიძე, ლ. ნილოსანი); 9. "ძველი ქართული ხელოვნება" (ინგლისურ ენაზე - მ. დიდუბელიძე, დ. თუმანიშვილი).

ამ გამოცემათა პრეზენტაციამ ინტერესი გამოიწვია. დამთვალიერებელთა უმრავლესობა სახლში "ხელდაშვებულნი" დაბრუნდა. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ინსტიტუტის დაარსების თარიღის აღნიშვნის ინიციატორი იყო ეროვნული ცენტრის დირექტორი მარიკა დიდუბელიძე, რომელმაც გვითხრა:

"ეს დღე ჩვენთვის განსაკუთრებულია. 1941 წლის 1 აპრილს დაარსდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც მისი დამფუძნებლის - გიორგი ჩუბინაშვილის სახელს ატარებს. მოგვიანებით მას ვახტანგ ბერიძე ხელმძღვანელობდა. ეს სახელები, ვფიქრობ, ბევრ რამეზე მეტყველებს. 2005 წელს ის ეროვნულ ცენტრად გადაკეთდა. მას სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია შეუერთდა. ამ დარბაზში ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგია წარმოდგენილი.

ჩვენ ძალიან მძიმე წლები გავიარეთ. არ გვექონდა შენობა, ხელფასი და საერთოდ, უყურადღებოდ ვიყავით დარჩენილი. 2006 წლიდან კი ნიკოლოზ ვაჩიშვილის ინიციატივით, კულტურის სამინისტრომ აამოქმედა კულტურული მემკვიდ-

რობის დაცვის პროგრამა, რამაც საშუალება მოგვცა რეალიზება გავგეგმავდით დიდი ცოდნისა და გამოცდილებისა.

ამ წიგნების გამოცემით მართლაც მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა. ისინი მალაშობაზე დაფუძნებული და დაკარგული და დაფორმებული. მათში გაურკვეველ ტექსტებს ვერ აღმოაჩენთ. საბჭოთა პერიოდში, დიდი მონდომების მიუხედავად, ჩვენს დარგში წიგნები ძალიან დაბალ დონეზე გამოიცემოდა. ახლა კი ამის გაკეთება საქართველოში შეგიძლია.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ აქ მხოლოდ სახელოვნებათმცოდნეო გამოცემებს არ ნახავთ. მაგალითად, აფხაზეთის ალბომი უფრო ისტორიულ-კულტურული მომხილვავა იმ ურთიერთობებისა, რომლებიც ახლა დაინგრა და რომელთა აღდგენაც ძალიან გვიწევს. ამიტომაც არის ის აფხაზურ და ქართულ ენებზე შედგენილი... ამ პრეზენტაციის ორგანიზება, საგამოფენო დარბაზ "კოპალასთან" ერთად, მაგათი ჯგუფმა დააფინანსა".

ირმა დოლიძე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული და კოორდინაციის მენეჯერი: - "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა ქართული ხელოვნების კვლევა და პოპულარიზაცია, რაც საგამოცემ-

ლო საქმიანობასაც მოიცავს. აქ წარმოდგენილი წიგნების უმეტესობა სწორედ 2008 წლის პროგრამის ფარგლებში გამოიცა. ისინი გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრმა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მოამზადა.

სხვადასხვა ტიპის გამოცემები არაერთი ადამიანის ხანგრძლივი შრომის შედეგია. ავიღოთ, თუნდაც, რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული ესკიზების ალბომი, რომელიც იქ განხორციელებული პასპორტიზაციის შედეგად შეიქმნა. იგივე სხვა გამოცემებზე შეიძლება ითქვას. მაგალითად, წიგნი, რომელიც რაჭის დაზარალებულ ძეგლებს ეძღვნება, ერთგვარი ფოტომატენია და 90-იან წლებში მინისძვრით დაზიანებული ხუროთმოძღვრული ძეგლების მდგომარეობას ასახავს. სულ სხვა ტიპის გამოცემა წიგნი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე, რომელსაც, ვფიქრობ, ფართო მკითხველი ეყოლება. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ნამდვილ აღმოჩენად შეიძლება იქცეს "თბილისური სადარბაზოები" და არა მხოლოდ ის, ნებისმიერი აქ წარმოდგენილი გამოცემა, რომელიც მალაშობაზე დაფუძნებული და დაკარგულია, რაც საგამოცემ-

უოლტ დისნეის მუზეუმი გაიხსნება

დიანა დისნეი მღერის სან ფრანცისკოში, 2009 წლის ოქტომბერში თავისი მამის, უოლტ დისნეის სახელობის მუზეუმს გახსნის. ანიმაციის კლასიკოსის მუზეუმი ნაციონალური პარკის პრესიდენის ტერიტორიაზე განთავსდება. **The New York Times**-ის ინფორმაციით, მემორიალური კომპლექსის შექმნა 112 მილიონი დოლარი დაჯდა. დისნეის მუზეუმის მმართველი რიჩარდ ბენეფილდი იქნება (**Richard Benefield**), რომელიც ადრე ჰარვარდის უნივერსიტეტის სამხატვრო მუზეუმის დირექტორი იყო.

ნიუ იორკში დისნეის მუზეუმი ორი მიზეზით იქმნება: პირველი, რომ **Walt Disney Co**-ს შტაბ-ბინიდან შორს იყოს და მეორე, რომ დიანა დისნეის მიღწევის სახლთან ახლოს იყოს. ქრონოლოგიური წყობის ორგანიზებულობის მიხედვით მუზეუმის ექსპოზიციები მოიცავს, როგორც უოლტ დისნეის პირად ნივთებს და დოკუმენტებს, ისე მოსამზადებელ მასალებსა და საკუთარ მულტფილმებს, რომელთა ნაწილიც საზოგადოებისთვის ადრე არ იყო ნაჩვენები. მულტფილმების საჩვენებლად შენობაში 215 მონიტორს დაამონტაჟებენ და დაგეგმვა კინოდარბაზი, რო-



მელიც 120 ადამიანს დაიტევს. ყოველწლიურად მუზეუმი 517 ათასი ადამიანის მიღებას შესძლებს.

უოლტ დისნეი 1966 წელს 65 წლის ასაკში კიბოთი გარდაიცვალა. მის მიერ დაფუძნებულმა კორპორაციამ რომ **Walt Disney Co**-მ 2008 წელს დაახლოებით 38 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

დისნეის პირველი პერსონაჟი კურდღელი ოსვალდი იყო, თუმცა მასზე საავტორო უფლებების დეკარგვის შემდეგ, მულტიპლიკატორმა ახალი პერსონაჟი - თავი მოიგონა, რომლისთვისაც თავიდან სურდა, რომ მორტიმერი დაერქმია, თუმცა 1930 წლის 13 იანვარს გამოვიდა პირველი კომიქსი

მიკი მაუსის შესახებ, რომელიც მხატვარ უბ ივერსკის მიერ იყო დახატული. მულტფილმი შვიდი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა და უოლტ დისნეის პირველი ნამუშევარი იყო, სადაც სმოვანი გამოსახულების სინქრონიზებული ტექნოლოგია იყო გამოყენებული. გასულ წელს მიკი მაუსს 80 წელი შეუსრულდა და ამ ხნის განმავლობაში მასზე 120-ზე მეტი მულტფილმი იქნა გადაღებული, ხოლო თავად თავი, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ანიმაციური პერსონაჟი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ნიუ იორკის ქალაქის ოპერა (**New York City Opera, NYCO**) კომპოზიტორ ფილიპ გლასს სპექტაკლისთვის "იდეალური ამერიკელი" (**The Perfect American**) მუსიკის დანერგა შეუქვეთა. **The New York Times**-ის ინფორმაციით, ამ ოპერის ლიტერატურული პირველწყარო - ავსტრალიელი მწერლის პეტერ შტეფან იუნგკის (**Peter Stephan Jungk**) მიერ უოლტ დისნეიზე დაწერილი წიგნია. სპექტაკლის პრემიერა 2012-2013 წლების სეზონზე უნდა გაიმართოს. სააგენტო **Bloomberg**-ის მტკიცებით, **The Perfect American** - გლასის 24-ე ოპერა იქნება.

ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს დაბა ლენტიხში და ტერიტორიულ ერთეულებში გენობების სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე 14 ლოტად და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ლოტი №1 - ს. რცხმელურის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №2 - ს. რცხმელურის ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №3 - ხოფურის ტერიტორიული ერთეული ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №4 - ხელედის ტერიტორიული ერთეული ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №5 - დაბა ლენტიხის ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №6 - ლენტიხის სახანძრო-სამაშველო რაზმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №7 - დ. ლენტიხში სტალინის ქ.№8-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობის სარემონტო სამუშაოები.
 ლოტი №8 - ლენტიხის კულტურის ცენტრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №9 - ჩოლურის ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №10 - სასაშის კლუბის, საბავშვო ბაღის, მედპუნქტისა და ახალგაზრდული ცენტრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №11 - ს. ჟახუნდრის კლუბის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №12 - ჩიხარემის ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №13 - ს. მელეს კლუბის, საბავშვო ბაღისა და მედპუნქტის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
 ლოტი №14 - დაბა ლენტიხში შენობების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები:

მათ შორის:

1. რესუსცენტრის შენობა თ. მეფის ქ. №31.
2. ორსართულიანი სახლი თ. მეფის ქ. №37.
3. კომუნალური მეურნეობისა და ა/სადგურის შენობა. ვ.მეშველიანის ქ. №4.
4. საბავშვო ბაღის შენობა - დ. აღმაშენებლის ქ. №18.
5. 40-ბინიანი - დ. აღმაშენებლის ქ. №10.
6. 40-ბინიანი - დ. აღმაშენებლის ქ. №15.
7. 12-ბინიანი - დ. აღმაშენებლის ქ. №24.
8. 40-ბინიანი - დ. აღმაშენებლის ქ. №26.
9. 40-ბინიანი - დ. აღმაშენებლის ქ. №1.
10. ორსართულიანი სახლი - დ. აღმაშენებლის ქ. №7.

1. სამუშაოს შესრულების სასურველი ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვე.
2. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 3 აპრილიდან შემდეგ მისამართზე: დ. ლენტიხი, თამარ მეფის ქუჩა №24, მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მეორე სართული.
3. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდენტიფიკაციო კოდი №234065560, ა/ა 33030012 სახალხო ბანკის ლენტიხის ფილიალში კოდი №220101486.
4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში ერთად) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 24

აპრილს, 10 საათიდან 16 საათამდე მე-2 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. შემოსული სატენდერო წინადადებები გაიხსნება 2009 წლის 24 აპრილს, 16 საათზე.
6. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - იურიდიული პირისათვის:
 - ა) შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).
 - ბ) ამონაწერი სამენარმო რეესტრიდან.
 - გ) საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა.
 - დ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
 - ე) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. აგრეთვე ბიუჯეტთან ანგარიშსწორების და დღგ-ს გადახდელად რეგისტრაციის შესახებ.
 - ვ) ცნობა საჯარო რეესტრიდან იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
 - ზ) ინფორმაცია ინჟინერ ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ. ცნობა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შესრულებული იდენტური სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ წლების მიხედვით მათი ღირებულებების ჩვენებით, წარმოდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე აღნიშნულ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. ფიზიკური პირებისათვის:
 - ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
 - ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.
 - გ) ცნობა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შესრულებული იდენტური სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. წლების მიხედვით მათი ღირებულების ჩვენებით, შესაბამისი ღირებულებისა და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები, რომლებიც უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიულად.
 - დ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოცემულ მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.
 - ე) პრეტენდენტის მიმართ გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით.
 - ვ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით (მოეთხოვება მხოლოდ გამარჯვებულ ორგანიზაციას).
 - ზ) სატენდერო დოკუმენტაციაში დასახელებული მოთხოვნები შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
 - თ) ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შესაძლებლობა აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო კომისიაში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.
 - ი) თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვების ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
 - კ) დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიას:

კლარა ონიანი /კომისიის წევრი/, ტელ: 899-10-37-71

ლენტიხის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ც ნ ო ბ ა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

აუქციონზე გამოტანილი იქნება შემდეგი ავტომანქანები

№	ძირითადი საშუალების დასახელება	სახელმწიფო ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)
1	2	3	4	5
1	ავტომანქანა "მერსედეს-ბენცი"	DUD-982	1982	5051
2	ავტომანქანა "მიკუბიში-პაჯერო"	ROS-877	1994	1894
3	ავტომანქანა "მიკუბიში-პაჯერო"	WSW-834	1991	1882
4	ავტომანქანა "ბმე-525f"	EEZ-951	1992	1832
5	ავტომანქანა "მიკუბიში-პაჯერო"	EKA-779	1992	2719
6	ავტომანქანა "ვაზ-2107"	WSW-669	1999	1095
7	ავტომანქანა "ბმე-525f"	VBB-616	1992	1266
8	ავტომანქანა "ნივა"	GIA-646	1999	1046
9	ავტომანქანა "ბმე-525f"	SOO-001	1995	1500
10	ავტომანქანა "მერსედეს-ბენცი"	EER-200	1995	2445
11	ავტომანქანა "ტოიოტა-პაილუქსი"	TVT-875	1991	2863
12	ავტომანქანა "ბმე-525f"	USU-343	1992	1265
13	ავტომანქანა "ტოიოტა-პაილუქსი"	NOD-178	1992	1469
14	ავტომანქანა "ნივა"	TST-367	1998	1163
15	ავტომანქანა "ოპელ-ვეეტრა"	NOD-128	1994	1998
16	ავტომანქანა "ბმე-525f"	WSW-494	1991	1214
17	ავტომანქანა "ბმე-525f"	BSB-616	1992	390

18	ავტომანქანა "მერსედეს-ბენცი"	WDW-445	1994	858
19	ავტომანქანა "მერსედეს-ბენცი"	SKS-703	1991	495
20	ავტომანქანა "გრანდ-ჩეროკ"	LLL-552	1994	1535

აუქციონში მონაწილეობის წინასწარი შესატანი "ბე" ქონების საწყისი გასაყიდი ფასის 10%-ი. ბიჯის სიდიდე საწყისი გასაყიდი ფასის 5%-ი. აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 10 (ათი) ლარი.

აუქციონი ტარდება გაზეთში გამოცხადებიდან ოცდამეათე დღეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის შენობაში, II სართულზე, სააქტო დარბაზში 17 საათსა და 30 წუთზე, იმ შემთხვევაში თუ განაცხადი მიღების ოცდამეათე დღე და აუქციონის ჩატარების დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ განაცხადების მიღება შეწყდება და აუქციონი ჩატარდება მეორე დღეს.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ქონების დასახელებას და საწყის გასაყიდ ფასს;

- "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შემოტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამენარმო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის ასლს თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- "ბე"-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს;

მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიშზე №33030131
 ს/კ 225393963
 ფილიალის კოდი 2201014429

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ;

ქალაქი ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა №106 (ბოლნისის მუნიციპალიტეტის შენობა, I სართული), ტელეფონი - 877 434 243.

ცვლილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2009 წლის 26 მარტს გამოცხადებულ ტენდერში

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი
შესყიდვის ობიექტი – ავტომობილები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის №16) „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს ავტომობილების შესყიდვაზე 5 ლოტად.

შესყიდვის ობიექტი:

ლოტი №	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	შენიშვნა
1	მსუბუქი გამოყვანილი სუდანის ტიპის ავტომობილი (ძრავის მოცულობა 2.0, 4 ცილინდრიანი, 16 სარქველიანი, საჭკვის ტიპი-ბენზინი, სიმძლავრე არანაკლებ 155 ც.პ. სიჩქარეთა კოდეფი-მექანიკური 5 საფეხურიანი)	(ვალი)	2	ავტომობილები არ უნდა იყოს ექსპლუატაციაში ნაყოფი
2	მსუბუქი გამოყვანილი სუდანის ტიპის ავტომობილი (ძრავის მოცულობა 1.6, სიმძლავრე არანაკლებ 75 კვტ/102 ც.პ. საჭკვის ტიპი-ბენზინი, სიჩქარეთა კოდეფი - მქანიკური 5 საფეხურიანი)	(ვალი)	75	
3	ძიკა ტიპის მძღავი გამოყვანილი ავტომობილი (ძრავის მოცულობა 2.5, ძრავის ტიპი - ტურბო, საჭკვის ტიპი-დიზელი, სიმძლავრე - არანაკლებ 141.5 ც.პ. სიჩქარეთა კოდეფი-მექანიკური 5+1, გაინაწილებული კოდეფის დაბალი გადაცემის ნამრთველი)	(ვალი)	35	
4	მსუბუქი გამოყვანილი სუდანის ტიპის ავტომობილი (ძრავის მოცულობა 2.0, ძრავის ტიპი - ტურბო, საჭკვის ტიპი-ბენზინი, სიმძლავრე - არანაკლებ 147კვტ/200ც.პ. სიჩქარეთა კოდეფი-მექანიკური 6 საფეხურიანი)	(ვალი)	2	
5	მძღავი გამოყვანილი ჯიპის ტიპის ავტომობილი (ძრავის მოცულობა - 3.0/6 ცილინდრიანი - 24 სარქველიანი, საჭკვის ტიპი-ბენზინი, სიმძლავრე - არანაკლებ 235ც.პ. სიჩქარეთა კოდეფი - ავტომატიკური 6 საფეხურიანი)	(ვალი)	1	

- ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
- ავტომობილების მიწოდება სასურველი განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 (ორმოცი) დღის განმავლობაში. მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, ვ. გორგასლის №16-ში.
- პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 16 აპრილის 09:00 საათიდან 14:00 საათამდე მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - იურიდიული პირებისათვის:
 - ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
 - ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ;
 - ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან.

- ფიზიკური პირებისათვის:
 - ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკატრების საქმის წარმოება.
- როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

- პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკვალიფიციურ პირთა რეესტრში;
- ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.
- პრეტენდენტის მიერ ავანსის მოხსონის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ლოტის ღირებულების 50%-ს.
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).
- სატენდერო წინადადება შემაჯავრობებელი კრიტერიუმების მიხედვით:

№	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1	სატენდერო წინადადების ღირებულება	0,30
2	ხარისხი	0,30
3	საგარანტიო ვადები და პირობები	0,15
4	მიწოდების ოპერატიულობა	0,15
4	ანგარიშსწორების პირობები	0,10
სულ:		1,00

- სატენდერო წინადადებები არ წაიღება მისაღებად და არ დაიშება შეყვანაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგინდულ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დაკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მითითებულ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-8 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
- თუ წინადადება შეყვანილია ფარგლებში, შეყვანაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვა, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მითითებები საგადასახადო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.
- ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
- შერჩევის დროს შემდგომ დახსენებას არ ექვემდებარება მე-5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.
- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლება (მე-17 პუნქტში აღნიშნული მისამართის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 15 აპრილის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული ოთახი №8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მისამართის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.
- სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2009 წლის 16 აპრილს 14:00 საათზე.
- აღტენდერო წინადადებები არ განიხილება.
- სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მისამართზე - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, ავტომობილების შესყიდვა,
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
და წარადგინოს გადახდის დამდასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
18. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: (+99532) 261-337; 261-335. საკონტაქტო პირი: ალექსანდრე თევდორაძე, ელ-ფოსტა: a.tevdoradze@mof.ge
შენიშვნა:
არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამდასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან, ამათთან ორგანიზაციის დოკუმენტების ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს მათი სერტიფიკატად დამაწესებელი ქართული თარგმანი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ატარებს პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება ს/ს „სავანე №1 ღვინის ქარხნის“ (ს/ნ 203825076) კუთვნილი ქონება, კერძოდ:

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	არასაცხოვრებელი ფართი ბ. ხმელნიცკის №16-ში	კვ.მ	103,4	1750	180950
2	ჩამოსახმული ხაზი. "მინი"	(ვალი)	1	12000	12000
3	შესავალი მანქანა	(ვალი)	1	4800	4800
4	ჭურჭლის პომპა	(ვალი)	1	180	180
5	კომპრესორი	(ვალი)	1	250	250
6	ბოთლების გასარეცხი დანადგარი (ჯვართი)	(ვალი)	1	4500	4500
7	მაცივარი (ჯვართი)	(ვალი)	1	100	100
8	ბოთლების ტრანსპორტიორი (ჯვართი)	(ვალი)	1	850	850
9	ყუთების ტრანსპორტიორი (ჯვართი)	(ვალი)	1	1250	1250
					204880

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).
დაყვანილი ქონება განთავსებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. №16 და პეტრონიშვილის ქ. №2.
აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 30 აპრილს, დღის 15 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. №8, თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამდასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადებოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.
ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.
ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს თბილისის რეგიონულ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 30 აპრილამდე დაგვიკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონულ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია), ტელეფონზე: 26-17-62.

სპორტი

ანტირეკორდის საფრთხე

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები ანტირეკორდს დაამყარებს და ტურნირს გამარჯვების გარეშე დაასრულებს. ამის თქმის საფუძველს "ხუთჯვაროსანთა" დარჩენილი კალენდარი და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ნაკრების თამაში იძლევა.

ასეთი უსუსური ნაკრები საქართველოს კარგა ხანია არ ყოფილა და იმედია აღარც ეყოლება. გუშინდელმა თამაშმა საბოლოოდ განამტკიცა ის მოსაზრება, რომ საქართველოში დღეს მალაღობის დონის ფეხბურთელების მწვავე კრიზისია. კუპერის პროფესიონალიზმში ეჭვს ნამდვილად ვერავინ შეიტანს, არგენტინელი სპეციალისტი თავის მხრივ ყველაფერს აკეთებს, რათა ნაკრები ათამაშდეს, მაგრამ რას იზამს მწვრთნელი ფეხბურთელების გარეშე.

საეჭვოა მწვრთნელი იმაში იყოს დამნაშავე, რომ გუნდი საკუთარ მოედანზე საშუალოზე დაბალი კლასის მეტოქესთან 90 წუთის განმავლობაში ერთ სახიფათო მომენტსაც ვერ ქმნის. ფოლის გატანაზე საუბარი საერთოდ აღარაა. სახიფათო მომენტს ვინ ჩივის ჩვენს ფეხბურთელებს მონტენეგროს ნაკრების კარში ბურთი ხეირიანად არ დაურტყამთ. გუშინდელი თამაშის ყურება რომ მეტად მოსაწყენი გამოდგა არაჩინოების საკამათო არ უნდა იყოს. გასაგებია, რომ ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ ასეთი თამაში მით უმეტეს საკუთარ მიწაზე ამით ვერ გამართლდება.

უნდა აღინიშნოს, რომ კვიპროსულ მატჩთან შედარებით კუპერმა გარკვეული ცვლილებები განახორციელა და სცადა ჩვენი გუნდის შემტევი პოტენ-



მერნაშვილის ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა

ციალის გაძლიერება. გუშინდელ მატჩზე არგენტინელი სამი შემტევით გავიდა. კვიპროსულ მატჩში მას შემდეგ რაც ტრავმა მჭედლიძემ მიიღო მოედანზე სირაძე გავიდა და ამას არანაირი შედეგი არ მოუტანია. ამჯერად საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა შანსი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელ მერნაშვილს მისცა. ეგაა, შესაკრებთა გადასაცემებით ჯამი არ შეცვლილა.

შექმნილ ვითარებაში ძალაუნებურად ჩნდება კითხვები. იმ შემადგენლობით, რომელიც დღეს ჰყავს კუპერს რაიმე სერიოზულ ნარმატებაზე კი არა ალბათ ერთი თამაშის მოგებაზეც კი ძნელია ოცნება. ამ დროს კი

ნაკრებს მიღმა არიან მალხაზ ასათიანი და დავით მუჯირი. რა თქმა უნდა, ვინ ითამაშებს ნაკრებში არგენტინელი სპეციალისტს საქმეა, მაგრამ გვაქვს კი ჩვენ იმის ფუფუნება, რომ ასათიანსა და მუჯირზე უარი ვთქვათ.

ექტორ რაულ კუპერი: "მონტენეგროს ნაკრები საკმაოდ კარგი გუნდია და ნებისმიერ ევროპულ გრანდთან შეძლებს მაღალ დონეზე თამაშს. მიუხედავად ამისა ჩვენ თამაშში უპირატესობას ვფლობდით და საგოლე მომენტებიც შევქმენით. რა თქმა უნდა, მთავარი შედეგია და ჯერჯერობით ამ შედეგზე ვერ ვსაუბრობთ, მაგრამ როგორც აქამდე მაქვს ნათქვამი, ჩვენი ვარაუდებით მუშაობას და მჯე-

რა, რომ შედეგი აუცილებლად მოვა. ერთსაც დავამატებ, ჩვენთვის აუცილებელია, რომ უახლოეს მატჩებში შევძლოთ გამარჯვების მოპოვება და სამი ქულის აღება"

ზორან ფილიპოვიჩი: "ასეთი შედეგი არცერთ გუნდს არ აძლევდა ხელს. ჩვენც და საქართველოს ნაკრებსაც დღეს გამარჯვება გეჭირებოდა. თავდაცვით მოგესხნებათ, რომ ეს ჩვენთვის პირველი შესარჩევი ციკლია და ამჟამად გამოცდილებას ვაგროვებთ. ჩვენ მთელ შესარჩევ ტურნირზე გეგმაც არ დავსახეთ, ყოველი მატჩისთვის ინდივიდუალურად ვემზადებით. მიმანია, რომ დღეს ის სამი წამყვანი ფეხბურთელი, რომ გვყოლოდა, მოგებასაც შევძლებდით".

"ნიუკასლს" შირერს ჩააბარებენ

ლევანდარული ფეხბურთელი ალან შირერი "ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი გახდება. როგორც ინგლისური "თაიმსი" მიაჩნია, ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი გუნდს, სულ ცოტა, სეზონის ბოლომდე განვრთნის და შეეცდება შეუნარჩუნოს ადგილი პრემიერლიგაში. ადრე შირერმა არაერთხელ განაცხადა უარი, მიუღო იმ კლუბის წინადადება, რომელშიც ათი წლის განმავლობაში თავად გამოდიოდა და გამხდარიყო "კაჭკაჭების" დამრიგებელი. თუმცა, ბოლოს გადაწყვიტა დათანხმებოდა "ნიუკასლის" ბოსებს და მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჯო კინიერი შეეცვალა. ამჟამად "ნიუკასლი" 30 ტურის შემდეგ 29 ქულით მე-18 პოზიციაზეა და დიდი ბრძოლები ელის ინგლისის საფეხბურთო ელიტაში დარჩენისთვის.

ქონსმა "შალკესთან" კონტრაქტი გააგრძელა

გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა ჯერმენი ჯონსმა გელზენკირხენის "შალკესთან" კონტრაქტი 2014 წლამდე გააგრძელა. წინა კონტრაქტის ვადა 2011 წელს ეწურებოდა. შეგახსენებთ, რომ ჯონსი "შალკეში" 2007 წლის ზაფხულში გადავიდა. გუნდის შემადგენლობაში ამ ხნის განმავლობაში 51 მატჩი ითამაშა და სამი გოლი მიიტვა.

მილიტო ისვენებს

არგენტინის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდისა და იტალიის "ჯენოას" თავდამსხმელი დიეგო მილიტო 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ვენესუელის ნაკრებთან მიღებული ბარძაყის ტრავმის გამო ერთ თვეს ვერ ითამაშებს. ამის შესახებ სააგენტო Reuters-ი იუწყება. "ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისია. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ გუნდის საუკეთესო ბომბარდირის არყოფნაშიც კი დანარჩენი ფეხბურთელები ისევე კარგად ითამაშებენ, როგორც ადრე," - აღნიშნა გენუური კლუბის პრეზიდენტი ენრიკო პრეციოზი. მილიტომ, რომელიც "ჯენოაში" მიმდინარე სეზონის წინ ჩაირიცხა, იტალიის ჩემპიონატში ჩატარებულ 25 მატჩში 16 გოლი გაიტანა, ხოლო 2003 წლიდან დღემდე არგენტინის ნაკრების მთავარი გამართულ 16 მატჩში 4-ჯერ აიღო მეტოქის კარი.

ეტოს "ლივერპულში" იწვევენ

ინგლისის "ლივერპულს" მთავარ მწვრთნელს რაფაელ ბენიტესს იმედი აქვს, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ესპანეთის "ბარსელონადან" 12 მილიონ ფუნტად თავდამსხმელ სამუელ ეტოს შეიძენს. "ლივერპულს" კამერუნელის გადაბირების შანსი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც 28 წლის ეტო ომ, რომელსაც კატალონიელებთან ხელშეკრულება მომავალ წელს უმთავრდება, ახალი კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა. "მერსისაიდელთა" მთავარ მწვრთნელს სურს, რომ ეტო ო ფერანდო ტორესს შეუწყვილოს და ამით ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე შეტევის ხაზი ჩამოაყალიბოს.

"ატლეთიკო" გაბილონდოს გარეშე დარჩა

ესპანეთის პრიმერადივიზიონში მოასპარეზე ბილბაოს "ატლეთიკოს" ნახევარმცველი იგორ გაბილონდო სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება. ამის შესახებ "ატლეთიკოს" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება. ფეხბურთელმა გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლი იტყინა და ოპერაცია ესაჭიროება. თუ როდის დაბრუნდება მწვრთნელის გაბილონდო, უცნობია, მაგრამ პრიმერადივიზიონის დარჩენილ მატჩებსა და ესპანეთის თასის ფინალში, რომელსაც ბილბაოელები "ბარსელონას" წინააღმდეგ გამართავენ, ის მოედანზე ნამდვილად ვერ გავა.

"ჰოფენჰაიმი" ვანგათი დაინტერესდა

23 წლის კენიელი თავდამსხმელის ალან ვანგას თქმით, რომელიც ანგოლურ "პეტრო დე ლუანდაში" გამოდის, მისით ბუნდესლიგური "ჰოფენჰაიმი" დაინტერესდა. "ისინი "პეტროს" თამაშებს სწავლობენ, - ამბობს ვანგა, - ჩემი მონაწილეობით ყველა კლინიკა მოაგროვებს და მთელ ჩემს სტატუსტიკას ფლობენ. ისინი ფარულად ზიზზავენ და ნამიბიასთან ჩვენი ნაკრების თამაშსაც დაესწრნენ. ჩვენს შორის მოლაპარაკება საკმაოდ შორს არის ნასული. თუ ასე გაგრძელდა, ზაფხულში შეიძლება კლუბისგან ჩემი კონტრაქტიც გამოისყიდონ." ვანგა, სავარაუდოდ, "ჰოფენჰაიმი" შეუცვლის სპილოსძლისსანაპიროელ ბუბაქარ სანოგოს, რომელიც ბრემენის "ვერდერიდან" სეზონის ბოლომდეა ნაქირავები. თუ ეს ტრანსფერი განხორციელდა, ის გახდება პირველი ბუნდესლიგელი კენიელი და "ჰოფენჰაიმის" მეოთხე აფრიკელი მოთამაშე ნიგერიელი ჩინიუ ობასის, სენეგალელი დემბა ბასა და განელი ისაკ ვორსას შემდეგ.

"თავისუფლებაი" ვილნიუს ოქროს ბარაზე დაპორდნენ

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ვილნიუსის ევროპის ჩემპიონატი ოქროს გარეშე დაასრულა, მაგრამ წინააღმდეგობის მონაგარ თითო ვერცხლსა და ბრინჯაოს მედალს გუშინ დამატებით ერთი ბრინჯაოც შემატა.

ევროპის ჩემპიონატის მეორე დღეს მედლები 60, 74 და 96 კილოგრამ წონით კატეგორიებში გათამაშდა. აქედან ორში საქართველოს ნაკრების წევრებს ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლის შანსი ჰქონდათ. ეგაა, ასეთი შანსი მხოლოდ მალხაზ ქურდიანმა (60 კგ.) გამოიყენა.

ქურდიანი კენჭისყრამ პირველ წრეში დაასვენა და ჩემპიონატში პირდაპირ მერვედფინალიდან ჩაერთო. ავსტრიელი ლუბოშ ციკელი ორ სეტში ჩამოიცილა, ასევე ორ სეტში სძლია

ფრანგ დიდი პეის, ნახევარფინალში კი აზერბაიჯანელ ზელიმხან ჰუსეინოვთან ინგნია დასანანი მარცხი. მოგებული პირველი სეტის შემდეგ ქართველმა საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო და ქურდიანი მესამე ადგილზე ფიქსს შეუდგა. ამ შემთხვევაში ქართველს მონინააღმდეგედ რუმინელი გეორგე ბუჩური ელოდა. მეტოქეები ერთმანეთს რიგინად არც მისალმებოდნენ, რომ ქურდიანმა რუმინელს ოთხი ქულა აართვა. ქართველი ბრინჯაოს მაძიებლის უპირატესობა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ მის ნარმატებაში ეჭვი არავის შეპარვია. პირველი სეტი კი 8:0 დაასრულა. მეორე სეტში მეტოქე გააქტიურდა, მაგრამ არა ისე, რომ ერთ ქულაზე მეტი მოეპოვებინა. ამასთან ის ერთადერთი ქულა ქართველმა მალევე გაქვითა და შეხვედრაც ასე

დასრულდა. მალხაზ ქურდიანმა ვილნიუსის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაო მოიპოვა.

გელა სალირამვილიმაც ნახევარფინალში დაასრულა ჩემპიონობაზე ფიქრი თურქ ფირატ ბირჩისთან შეხვედრაში. ქართველმა პირველი სეტი მოიგო, მეორეში დამარცხდა და ფინალისტი გადამწყვეტმა, მესამე სეტმა გამოავლინა, რომელიც ფრედ 2:2 დასრულდა. ამ შემთხვევაში კი ფრე თურქისთვის იყო სასურველი. არადა თურქთან შეხვედრამდე სალირამვილი სამი მეტოქე ისე ჩამოიცილა, სეტიც არ დაუთმია. ევროპულ ხალიჩაზე ასპარეზობა ლიტველი ედგარას ვოიტეჩოვსის ძლევით დაიწყო, უფრო იოლად გაუსწორდა სომეხ სურენ მარკოსიანს, მეოთხედფინალში კი უნგრელ გაბორ ჰატომს აჯობა. მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლა ქართველ-

სა ბელარუს მურად გაიდაროვს შორის წარმართა. დინამიკას მოკლებულ ორთაბრძოლაში 0:1, 0:1 გამარჯვება ბელარუს დარჩა.

გარკვეულ ნარმატებას ველოდით საქართველოს ნაკრებში დაბრუნებული ლუკა კურტანიძესგან. ყოველ შემთხვევაში, მისგან ველოდით, რომ ნაკრების ხელმძღვანელობას იმას დაუმტკიცებდა, რომ კვლავაც შესწევს უნარი იბრძოლოს მედლებისთვის. ერთი სიტყვით, მისი სახით იმედგაცრუება ვიგემით. ევროპის ხუთგზისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ლუკა კურტანიძემ (96 კგ.), მეორე წრეში სომეხ ედგარ ცხუკიანთან უმაღლეს მარცხი (1:1, 1:0, 0:1). ვინაიდან სომეხმა მოჭიდავემ ფინალამდე ვერ გაიკვალა გზა, კურტანიძეს ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის შანსი არ მისცემია.

საჭაიას და ხოჯავას ენდნენ

რუსეთის საფეხბურთო პირველი ლიგის მეორე ტურში მახაჩყალის "ანჟი", რომლის მთავარი მწვრთნელი ომარ თეთრაძეა, სტუმრად ვლადიკავკაზის "ალანია" 1:0 დაამარცხა.

განვლილ მატჩში მახაჩყალელთა ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს ედიკ საჯაიამ და გოჩა ხოჯავამ. პირველი სრულად გაისარჯა, მეორე კი 43-ე წუთზე შეცვალეს.

"ალანიას" წინააღმდეგ არ უთამაშიათ ზურაბ არზინს და გიორგი ნავალოვსკის, ხოლო დაღესტნელთა კიდევ სამ ქართველ ლეგიონერს - ოთარ მარცვალაძეს, სანდრო იაშვილსა და კახა ალადაშვილს, ჩანს, რუსეთის ვიზის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ არ მოუგვარებიათ.

"ჰამბურგს" ჩრდილი მიადგა

გერმანულ ტელეარხ ZDF-ის გადაცემა "Frontal-21"-ის გამოკვლევით, არსებობს ეჭვი, რომ მაკედონიური პრილეპის "პობედას" სამმა ფეხბურთელმა 2005 წლის უეფას ინტერტოტოს თასის მეორე წრეში მათ კლუბსა და "ჰამბურგს" შორის შემდგარი ორივე შეხვედრა გაყიდა.

მატჩები 2 და 10 ივლისს გაიმართა და ჰანზელებმა ორივე 4:1 მოიგეს.

ZDF-ის მიხედვით, მაკედონიური სათამაშო ბიზნესის ბოსმა ველიბორ ძაროვსკიმ აღიარა, რომ სათამაშო მაფიამ ამ მატჩებზე თაღლითობის გზით სოლიდური თანხა იშოვა.

"დარწმუნებული ვარ, არავითარი მანიპულაცია არ არსებობს, "პრილეპს" მაინც მოუგებდით. ჩვენ მაშინ უეფას ინტერტოტოს თასი მოვიპოვეთ, ამიტომ ძალზე უსიამოვნოა, რომ ამ ორ თამაშთან დაკავშირებით რაღაც ეჭვები არსებობს," - განაცხადა "ჰამბურგის" პრეს-მდივანმა იორნ ვოლფმა.

"Frontal-21" იუნყება, რომ უეფა ამ ფაქტზე უკვე მოკვლევას ანარმობებს, თუმცა უეფას წარმომადგენელს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია.

"ამის თაობაზე არაფერი ვიცი. უეფას სადისციპლინო კომისია ახლა მხოლოდ "პრილეპისა" და ერენის "პიუნის" მატჩის დეტალებს იკვლევს," - თქვა მან.

სომხური და მაკედონიური კლუბები 2004 წლის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს და "პიუნკმა" გაიმარჯვა.

ფრეის გრანდში სურს თამაში

იტალიის "ფიორენტინას" ფრანგი მეკარე, 29 წლის სებასტიანო ფრეის დარწმუნებით განაცხადებს, რომ მისი მიზანია "ფიორენტინაში" დაბრუნება. იტალიელ ჟურნალისტებთან საუბრისას იგივე გაიმეორა მეკარის პირადმა აგენტმა ჯოვანი ბრანკინმა.

"სებასტიანო მუდამ ხაზს უსვამს, რომ ფლორენციაში თავს მშვენივრად გრძნობს. თუმცა, ყველას კარგად ესმის, რომ მორიგი წარმატებული სეზონის შემდეგ მის გადაბრუნებას არაერთი ევროპული გრანდი მოისურვებს. შესაძლოა, ამ წინადადებასთან ერთი ისეთი აღმოჩნდეს, რომელზეც ვერც ფრეიმ თქვას უარი და ვერც "ფიორენტინამ", - ამბობს ბრანკინი.

სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ფრეიმ ფლორენციელთა მიერ ჩატარებულ 28-ვე მატჩში მიიღო მონაწილეობა. ფრანგი მეკარე 2005 წლიდან იცავს "იგის" ღირსებას და ამ ხნის განმავლობაში "ფიორენტინას" შემადგენლობაში 92 საჩემპიონატო შეხვედრა გამართა. ფლორენციაში გადასვლამდე ის კიდევ სამი იტალიური კლუბის - "ინტერის", "ვერონასა" და "პარმას" რიგებში გამოდიოდა. რაც შეეხება სანაკრებო კარიერას, ფრეის მხოლოდ ორ მატჩში მოუხდა ეროვნული გუნდის კარის დაცვა.

შეიძინეთ რიბერი

ტურინის "იუვენტუსის" ნახევარმცველი კლაუდიო მარკიზიო კლუბს მიუხედავად "ბაიერნის" ფრანგი ვარსკვლავის ფრანკ რიბერის შეძენას ურჩევს.

"მჯერა, რომ ნახევარდაცვაში ძლიერები ვართ, - თქვა მან "Tuttosport"-თან საუბარში, - თუმცა, გაუმჯობესება მო გვინდა, ჭეშმარიტი ჩემპიონები გვჭირდება, ისეთი მოთამაშეები, ვინც ჩვენს ტექნიკურ დონეს აამაღლებენ. ცხადია, ვერ დავადგინებთ რომელიმე ფეხბურთელია, მაგრამ, ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, დაუფიქრებლად ვიყიდდი რიბერის. ის ზღაპრულად თამაშობს და პაველ ნედედის ნასვლის შემდეგ ჩვენს თამაშს კიდევ უფრო მეტ შემოქმედებითობას შესძენდა."

მარკიზიოს "იუვენს" მიერ "სამპდორიიდან" ანტონიო კასანოს შესაძლო გადაბრუნებაც დაეკითხნენ.

"კასანო ჩემპიონია, რომელიც, მადრიდის "რეალში" გატარებული წარუმატებელი პერიოდის შემდეგ, ხელახლა იშვა "სამპში". ახალ კლუბში მან ისეთ გარემოს მიაგნო, რომელშიც თავისი ტალანტის სრულად გამოვლენის საშუალება მიეცა. მაგრამ შეძლებს ის, დაეხმაროს "იუვენს", რომელშიც ალესანდრო დელ პიერო ჯერაც უმადლეს დონეზე თამაშობს, ხოლო ჩემი მეგობარი სებასტიანო ჯოვინკო ამტკიცებს, რომ სწორედ ამ გუნდზეა ზედგამოჭრილი? თავად განსაჯეთ," - უპასუხა მან.

ჰასენბერგს მუხლი დაიშავა

"ვოლფსბურგის" იაპონელმა ნახევარმცველმა მაკოტო ჰასენბერგს მარცხენა მუხლი დაიშავა და გუნდს გაურკვეველი ვადით გამოაკლდა.

ტრავმა მან გასულ შაბათს მისი ნაკრების მიერ ბაჰრეინთან შინ 1:0 მოგებულ მატჩში მიიღო.

სამშაბათს ჰამბურგში მისთვის ართროსკოპია უნდა გაეკეთებინათ.

სხადაძის თავსატკივარი

საქართველო 2:1 - ბელორუსი 2:1 0:1

მინილ აბიგვილი

ფეხბურთში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, შეიძლება ითქვას, პირველ ნაბიჯებს დგამს ახალი მთავარი მწვრთნელის კახა ცხადაძის ხელმძღვანელობით. დღევანდელი ფორმაციის 21 წლამდელები თვისებრივად ახალი გუნდია როგორც შემადგენლობით, ისე სამწვრთნელო კორპუსის თვალსაზრისით. გუნდმა მხოლოდ ერთი საწვრთნელი შეკრება ჩაატარა და, გუშინდელის ჩათვლით, ორი ამხანაგური მატჩი გამართა. ასე რომ, ბელორუსის ნაკრებთან გუშინ რუსთაველი განცდილი მარცხისგან ტრაგედიის შექმნა ნამდვილად არ იქნებ სწორი. სხვა საქმეა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების მუდმივი წარუმატებლობით იმედგაცრუებულები ნებისმიერ მარცხს მტკიცებულად ვიღებთ. თუმცა, მაინც ნუ ვიქნებით ძალზე კრიტიკულები გუნდის მიმართ, რომელიც შექმნის სტადიაშია და მთავარი საბრძოლო ნათლობა შემოდგომაზე ელის.

შეგახსენებთ, რომ ჩვენს 21 წლამდელებს უახლოესი ოფიციალური ტურნირი, კერძოდ, ევროპის ჩემპიონატის კვალიფიკაცია სექტემბერში ელით. შესარჩევ ქვეჯგუფში ჩვენი ახალგაზრდულის მეთაურები იქნებიან ირლანდიის, თურქეთის, შვეიცარიის, ესტონეთისა და სომხეთის 21 წლამდელები. სწორედ ამ ტურნირისთვის დაიწყო მზადება კახა ცხადაძემ, რომლის მეთაურობით საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 1 აპრილს სპარინგმატჩი ჩაატარა ბელორუს თანატოლებთან. ამ გუნდის დებიუტი კი სულ ოთხი დღის წინ გაიმართა კვიპროსზე, სადაც ამ ქვეყნის 21 წლამდელებთან ჩვენებმა ფრედ - 1:1 ითამაშეს.

ბელორუსებთან მატჩის წინ ექტორ რაულ კუპერმა ცხადაძეს სამი წამყვანი ფეხბურთელი "წაართვა". სხვადასხვა მიზეზის გამო ჩერნოგორიის წინ ეროვნულ გუნდს სამი მცველი დააკლდა და ეს დანაკლისი არგენტინელმა მწვრთნელმა ახალგაზრდული გუნდიდან სანაიას, დაუშვილისა



ბელორუსს გოლი ვერ გაუვტანეთ

და კლიმიაშვილის მიწვევით შეავსო. ამ გარემოებამ ცხადაძეს ძირითადი შემადგენლობის შერჩევაში გარკვეული პრობლემები შეუქმნა.

რაც შეეხება მეტოქეს, ბელორუსის ახალგაზრდული გუნდი არავისთვის არ არის ხელნამოსაკრავი. ბელორუსში ფეხბურთი სწრაფი ტემპით ვითარდება, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ წინა საკვალიფიკაციოში, რომელიც პიტარ სევრტის ფორმაციის ჩვენმა ახალგაზრდულმა ჩააგდო, ბელორუსმა 21 წლამდელებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და ფინალურ ეტაპზე ევროპის 8 საუკეთესო ნაკრებს შორის თამაშის უფლება მოიპოვეს. ორი დღის წინ ამ გუნდმა გერმანიის ახალგაზრდულთან ფრედ - 1:1 ითამაშა, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ფინალურ ეტაპზე გეგმავენ სტატისტიკის როლში ყოფნას. საქართველოში ჩამოსული გუნდი 1989-90 წელს დაბადებული ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და, ცხადაძის გუნდისა არ იყოს, საშემოდგომო შესარჩევი ეტაპისთვის ემზადება. ამ გუნდს სათავეში უდგას გასული საუკუნის 80-იანი წლების მინსკის "დინამოს" ერთ-ერთი გარმორჩეული ფეხ-

ბურთელი გეორგი კონდრატევი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, კარგად ახსოვთ სტაჟიან ქართველ გულშემატკივრებს.

მატჩი სწრაფ ტემპში წარიმართა. პირველივე წუთებიდან ორივე გუნდი მოედნის ცენტრის დაუფლებას შეეცადა, რის გამოც ხშირი იყო ძალისმიერი ორთაბრძოლა და ორმხრივი შეცდომები. ტექნიკური ნუნის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალი იყო, რასაც ახლად შექმნილ გუნდებში უფრო ურთიერთგაგების ნაკლებობა განაპირობებს, ვიდრე ფეხბურთელთა დაბალი ტექნიკურ-ტაქტიკური მზადყოფნა. თამაში რომ მეტ-ნაკლებად დალაგდა, საქართველოს ახალგაზრდულის მცირე ტერიტორიული უპირატესობა გამოიკვეთა, თუმცა, ამავე დროს თვალსაჩინო იყო ქართული ფეხბურთის უძველესი სენი - ინდივიდუალური მოქმედებით ფონის გასვლის გამომეხვედრებული მცდელობა და კომბინაციური ფეხბურთის იგნორირება. ამ თვალსაზრისით უკეთ მომზადებული აღმოჩნდა სტუმართა გუნდი, რომელიც უფრო მეტად ცდილობდა თანამედროვე ფეხბურთის დემონსტრირებას. სწორედ დრიბლინგებით და ფინტებით თავის შექცევამ ცუდი სამსახური გაუწია ჩვენს ახალგაზრ-

დულს: რამდენიმე კარგი შეტევა, რომლის დროსაც მოიერიშე საქართველოს ნაკრებს დაცვაში მყოფ ბელორუსებთან რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, ლოგიკური შედეგით, თუნდაც კარში დარტყმით ვერ დასრულდა. საპირისპიროდ, სტუმრები იშვიათად ცდილობდნენ მეტოქის მოტყუებას, რის გამოც მათი შეტევები უფრო შინაარსიანი იყო. საერთო ჯამში, თამაში მაინც თანაბარი იყო და მისი სცენარის მიხედვით უფრო ლოგიკური იქნებოდა საყაიმო შედეგი, რომ არა გოლი-შედეგრი, რომლის გატანა სტუმრებმა მოახერხეს. ეს მოხდა 68-ე წუთზე: მოედნის ჩვენს ნახევარზე, ცენტრალურ რგოლთან ახლოს, ბურთი მიიღო რეკიშმა, რომელმაც ოდნავ წინ წაიწია და დაახლოებით 35 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით "ცხრიანში" გაახვია ბურთი. მეკარე თევდორაძის უშედეგო ნახტომმა მხოლოდ გოლის სილამაზეს გაუსვა ხაზი.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მინიმალური ანგარიშით - 0:1 დაამარცხდა. კარგი მხოლოდ ის არის, რომ ნათლად გამოჩნდა ხარვეზები, რომელთა გამოსასწორებლად ცხადაძეს და მის სამწვრთნელო შტაბს ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს.

"ბორჯღალოსნებს" ირბ-მ უპირატესობა დაუბრუნა

